პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 29 აპრილი 2004 №95 (2114) | ფასი 50 თეთრი

უცნაური ამბები დინამოსგან

გია გეგუჩაძე დინამოში ლადო ახალაიას ვერ ხედავს. გუშინ მწვრთნელი და ფეხბურთელი შელაპარაკდნენ ჯიდეც

„დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილიც ამბობს, რომ „დინამო“ ჩვეულებრივი გუნდი არ არის, მაგრამ „დინამოში“, ცოტა არ იყოს, უცნაური ამბები ხდება — გუშინ შევიტყვეთ, რომ გუნდიდან გაუშვეს ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ალეკო გოგობერიშვილი...

გუშინვე პირველად გაუძღვა „დინამოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე — მატჩი არაოფიციალური, საქველმოქმედო იყო, მაგრამ გეგუჩაძისთვის მაინც სადებიუტო. შეხვედრის შემდეგ კი პეტრიაშვილმა და გეგუჩაძემ პრესკონფერენცია მოაწყვეს და სხვათა გარდა ისიც შევიტყვეთ, რომ „დინამოს“ პატრონ ბადრი პატარკაციშვილს სხვა კლუბებთანაც დაუჭერია საქმე...

გუშინვე ისიც გავიგეთ, რომ გეგუჩაძეს უკვე მოუვიდა კონფლიქტი „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერ ლადო ახალაიასთან...

დინამომ გოგობერიშვილს პენალტი დაურტყა

ბაჯოობა გენუაში

რუმინელმა გენერალმა გერმანელები დახვრიტა 5:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

ყაზახეთი 2:3 აზერბაიჯანი

0:1 ნაბიევი (31), 1:1 კარპოვიჩი (55), 1:2 ე. გულიევი (57), 2:2 ლუნიოვი (77), 2:3 სადიგოვი (80)
ყაზახეთი: ნოვიკოვი, სმაკოვი, ლოტოვი (ლუნიოვი 61), მუსინი, ფ. ირისმეტოვი, ბალტიევი, ჟუმასკალიევი (სამჩენკო 46), კარპოვიჩი, აკსიონოვი, გარკუშა (ავდეევი 60), ტლეხუგოვი
მწვრთნელი: ლეონიდ ბახმოვი
მსაჯი: კადირ ჩინიბეკოვი (ყირგიზეთი)
20 000 მაყურებელი

უკრაინა 1:1 სლოვაკეთი

1:0 ვენგლინსკი (13), 1:1 ვარგა (65)
უკრაინა: შოვკოვსკი, ჩეჩერი, რადჩენკო, ტიმოშჩუკი, იეზერსკი, რუსოლი, როტანი, რიკუნი (შელაევი 46), ნაზარენკო (კალინიჩენკო 66), ვენგლინსკი (კოსირინი 60), გუსევი (რებროვი 38)
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
მსაჯი: ანტონ რიეკა (პოლონეთი)
18 000 მაყურებელი

დანია 1:0 შოტლანდია

1:0 სანდი (61)
დანია: სორენსენი, ვიგჰორსტი (რეტოვი 81), ჰენრიკსენი (კროლდრუპი 66), ლაურსენი, ნ. იენსენი (სენელსი 46), ჰელვეგი, დ. იენსენი, კ. იენსენი (კ. პერესი 46), გრონკიაერი (რასმუსენი 84), იორგენსენი (რომედალი 66), ტომასონი (სანდი 46)
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
მსაჯი: მარტინ ინგვარსონი (შვედეთი)
22 885 მაყურებელი

ესტონეთი 1:1 ალბანეთი

0:1 ალიაი (51), 1:1 ვიიმაე (80)
ალბანეთი: ლიკა (სტრაკოშა 46), ა. ბექირი, დედე, ე. ბექირი, ალიაი, ჰასი, ლალა (ა. ჰაჯი 46), მურატი (შკელა 46), დურო (მურტაი 46), ბუში (კაპლანი 67), ტარე
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი
მსაჯი: ანდრეის სიპაილო (ლატვია)
1 500 მაყურებელი

ბელგია 2:3 თურქეთი

1:0 სონკი (33), 1:1 ბაშთურქი (42), 1:2 თოლგა (68), 2:2 დუფერი (85), 2:3 კარადენიზი (90)
თურქეთი: რუშთუ (ვოლქანი 46), ბიულენთი (იბრაჰიმ ტორამანი 46), თოლგა, დენიზი (იბრაჰიმ უზულმეზი 80), დავალა უმითი (სერქანი 46), ბაშთურქი (კარადენიზი 46), უმით ოზატი, ემრე (შურატი 80), ჰასან შაში (ჰამიტ ალტინტოპი 46), ჰაქან შუქური (ოკანი 60), თუნქჩაი სანლი (ზაფერი 70)
მწვრთნელი: ერსუნ იანალი
მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)
20 000 მაყურებელი

ჰოლანდია 4:0 საბერძნეთი

1:0 მაკაი (50), 2:0 ზენდენი (58), 3:0 ჰეიტინგა (61), 4:0 ვან ბოიდონკი (89)
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი (გეორგიადისი 82), დაბიზასი, დელასი, ფისასი (ვენეტიდისი 65), იანაკოპულოსი (ბასინასი 46), კარაგუნისი (ლაკისი 46), გუმასი, ზაგორაკისი (ცარტასი 46), ვრიზასი (ზარისტიასი 46), ნიკოლაიდისი (პაპადოპულოსი 46)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
მსაჯი: კოსიმო ბოლონინო (იტალია)
27 000 მაყურებელი

სამხრეთ კორეა 0:0 პარაგვაი	ავსტრია 4:1 ლუქსემბურგი
ლატვია 0:0 ისლანდია	უნგრეთი 1:4 ბრაზილია
ჩეხეთი 0:1 იაპონია	სან მარინო 1:0 ლიხტენშტაინი
ბულგარეთი 3:0 კამერუნი	ჩრდ. ირლანდია 1:1 სერბეთი
სომხეთი 1:0 თურქმენეთი	იტალია 1:1 ესპანეთი
ისრაელი 1:1 მოლდოვა	პორტუგალია 2:2 შვედეთი
ბელარუსი 1:0 ლიტვა	მაროკო 0:1 არგენტინა
პოლონეთი 0:0 ირლანდია	**ახალგაზრდულები (U-21)**
მაკედონია 0:1 ხორვატია	უკრაინა 1:1 სლოვაკეთი
რუმინეთი 5:1 გერმანია	ბულგარეთი 4:0 ჩეხეთი
ალჟირი 0:1 ჩინეთი	უნგრეთი 1:5 სლოვენია
ბოსნია 1:0 ფინეთი	მაკედონია 0:0 ხორვატია
ნორვეგია 3:2 რუსეთი	ნორვეგია 1:0 რუსეთი
შვეიცარია 2:1 სლოვენია	ისრაელი 0:0 მოლდოვა

შვეიცარია

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩები
ბულე 3:3 შაფჰაუზენი
კიასო 2:1 კონკორდია
ანიო 2:3 ლუცერნი

საფრანგეთი

თასის ნახევარფინალი
ნანტი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 1:1) *პსჟ*
შატორუ 2:0 დიჟონი

დანია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბ-93 0:1 ნიკიობინგი

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
საუთჰემპტონი — ნიუკასლი
გადაიდო

REUTERS ეინდჰოვენიდან

ჰოლანდია — საბერძნეთი. კლარენს ზეედორფმა და მისმა თანაგუნდელებმა ბერძნები 4 უპასუხო გოლით გაისტუმრეს

დღეს ბლოხინს და ფიოლერს ცხოვრება არ უნდათ

ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება და გუშინდელ საამხანაგო დღეს თექვსმეტეულიდან თოთხმეტმა ევროფინალისტმა ითამაშა. მხოლოდ ინგლისმა და საფრანგეთმა იუქმეს, დანარჩენებმა კი ბოლო თუ არა, ბოლოსწინა რეპეტიცია მაინც გაიარეს. ძალიან მაგრად მოხვდა რუდი ფიოლერის გერმანიას, რომელიც სტუმრად ეთამაშა გენერალ ანგელ იორდანესკუს განვრთნილ რუმინეთს. თმათეთრი რუდი გაფითრებული ტოვებდა ბუქარესტულ სარბიელს. მისმა გერმანიამ 1:5 ბოლოს ინგლისთან წააგო, მაგრამ რუმინეთთან გუშინდელი შერცხვენა მაინც მეტისმეტი იყო. გერმანიამ ძალზედ უღიმღამოდ იბურთავა, ეს კი ცეცხლთან თამაშის ტოლფასია ევროჩემპიონატის წინ და ვინძლო, ძვირადაც დაუჯდეს ბალკანელებთან მარცხი ფიოლერს.

ხუთწლიანი განშორების შემდეგ „სკუადრა აძურას" რობერტო ბაჯო დაუბრუნდა, მისმა იტალიამ ამხანაგური 1:1 გაუგორა ესპანეთს. ჯეელი ფერნანდო ტორესის სამეორეტაიმო გოლით ესპანელები იგებდნენ, მაგრამ ვიერიმ შეძლო ანგარიშის გაქვითვა. ტრაპატონიმ ბაჯო 87-ე წუთზე შეცვალა და მოედანი ტაშის გრიალში დატოვა.

გუშინ სტუმრად მოიგეს ბრაზილიამ და... აზერბაიჯანმა. რონალდინიომ და ჯადობიჭებმა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაატარეს ბუდაპეშტში. აზერბაიჯანმა კი ჩვენი მომავალი მეტოქე ყაზახეთი შეარცხვინა მისსავე სარბიელზე და ამ თამაშშიც იყო რაღაც ბრაზილიური — აზერბაიჯანელთა მწვრთნელი.

ოდესღაც ყველაფერი მთავრდება და ორწლიანი წარმატებული სერია შეწყვიტა ჩვენმა კიდევ ერთმა მომავალმა მეტოქემ, საბერძნეთმა. რეჰაგელის ბიჭებმა 0:4 დათმეს სტუმრად ჰოლანდიასთან და ოთხივე გოლი მატჩის მეორე ტაიმში გაუშვეს.

ეგებ ძალიან არც ანაღვლებდეთ, მაგრამ საგინესო ამბავი აიცილეს თავიდან სანმარინოელებმა. ამ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებს 14 წლის მანძილზე არ მოეგო და „თანატოლ" ლიხტენშტაინს რომ შეხვდა, გამარჯვების გემოც გაიგეს.

ჩვენ მეტოქეებზე გავაგრძელოთ: გუშინ დაიწყო და დღეს გაგრძელდება უკრაინელ ქომაგთაგან ოლეგ ბლოხინის და მისი ნაკრების მწვრთნელად დამნიშნავის კეთილისმყოფელთა მოკითხვა. ფაქტია, საშინაო მატჩში სლოვაკეთის ვერდამმარცხებელ უშევჩენკო უკრაინას ჟურნალისტებიც დიდ ცეცხლს შეუნთებენ. ყველაზე მეტი, რაღა თქმა უნდა, სწორედ ბლოხინს მოხვდება და ეგებ დღესვე დასრულდეს მისი სანაკრებო წვალება. შევნიშნოთ, რომ ბლოხინის ხელში უკრაინას ჯერაც არ მოუგია. აი, ახალმა თურქულმა ცოცხმა კი გაამართლა და ბელგია მოასუფთავა მისსავე მოედანზე. ერსუნ იანალის ხელში ოსმალოთა გადახალისებულმა ნაკრებმა ზედ საფინალო სასტვენის წინ შეაგდო გამარჯვების მომტანი გოლი.

მორიგი საშინაო გამოცდა ჩააბარა დანიამ. ვიკინგებმა მოკრძალებული 1:0 იკმარეს ბოლო დროს ყველასგან თავში წამორტყმულ შოტლანდიასთან.

სომხურ — ქართული ამბით დავამთავროთ: ერევანში მასპინძლებმა თურქმენეთი გამოიჭირეს და ამ თამაშს ჩვენებურ მსაჯთა ბრიგადა სჯიდა მერაბ მალაღურაძის თამადობით.

პაატა კვანტალიანი

REUTERS ბუდაპეშტიდან

უნგრეთი — ბრაზილია. რონალდინიოს ბუდაპეშტშიც მაგრად მოხვდა

REUTERS კოიმბრიდან

პორტუგალია — შვედეთი. „ბარსასთან" ნირწამხდარი ფიგუ ვერც შვედებთან გამოკეთდა

ცაში გამოკიდული ტყებუჩავა: ცაში ნუ იფრენთ

ჟირესი ჯოლეგას ახალგაზრდულად ესაუბრა

სამშაბათის მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ახალგაზრდულის დროებით თავკაცს გოჩა ტყებუჩავას ზედ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სთხოვა შეხვედრა. ჟირესი ახალგაზრდა კოლეგას გუშინ ესაუბრა



ალენ ჟირესი და გოჩა ტყებუჩავა

— მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებზე ვილაპარაკეთ, ალენ ჟირესმა ძალიან თბილად მიმიღო და საუბრისას რამდენჯერმე ახსენა, რომ ახალგაზრდული ნაკრები ძალიან მოეწონა და ქართულ ფეხბურთს იმედისმომცემი თაობა ეზრდება — გუშინვე გვითხრა გოჩა ტყებუჩავამ — ჟირესს მატჩამდეც რამდენჯერმე შევხვდი, რჩევებისთვის მისი მადლობელი ვარ, როცა კაცი გამოცდილებას გიზიარებს, ეს საყურადღებო ფაქტია. მის რჩევებს მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებ.

— რომელი ფეხბურთელები მოეწონა ჟირესს?

— გვარები არ დაუსახელებია. ჟირესს ახალგაზრდულის დაცვის ხაზი მოეწონა და, როგორც გითხარით, რამდენჯერმე თქვა, რომ ქართულ ფეხბურთს პერსპექტიული თაობა ეზრდება. ამ ბიჭებისგან კარგი გუნდის გაკეთება შეიძლებაო, თქვა.

— ეროვნულ გუნდზე არაფერი უთქვამს?

— არა, არაფერი, ჩვენი საუბარი ზოგადი იყო.

— მატჩამდე ჟირესმა რა გითხრათ?

— რეკომენდაციები მომცა, რასაც გავითვალისწინებ. მისი მადლობელი ვარ.

— უფრო კონკრეტულად?

— მითხრა, რომ რა კონტინგენტიც გყავს, ტაქტიკაც იმის შესაბამისად შეარჩიეო. ის ჩემს კომპეტენციაში არ ჩარეულა.

— გითხრათ, რომ 4-4-2 ტაქტიკური სქემით ითამაშეო, რაც მისთვის პრიორიტეტულია?

— არა, ეს არ უთქვამს, რაც მითხრა, გითხარით. როგორი კონტინგენტიც იყო, სქემაც მის შესაბამისად ავაწყვე. ჩავთვალე, რომ ამ შემადგენლობით 4-4-2 განლაგებით უნდა მეთამაშა.

— ახალგზარდული ნაკრების ამ შემადგენლობის გამოძახება ერთპიროვნულად გადაწყვიტეთ თუ ნაკრების სავარაუდო თავკაცს, ბოსკამპს შეუთანხმეთ?

— ეს შემადგენლობა მხოლოდ ჩემი შერჩეული და გამოძახებულია.

— ახალგაზრდულში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი იყო, რომლებიც 21 წლისანი უკვე არიან. მომავალ შესარჩევ ციკლში მათ გამოიყენებთ?

— გუშინ ვინც იყო, ასაკის პრობლემა არავის აქვს. მათ შეუძლიათ მომავალ შესარჩევ ციკლში თამაში. დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია. გუშინდელი შემადგენლობიდან ვინ მიიწვიოს, ვინ — არა, მას უკეთ ეცოდინება. ნუ დავივიწყებთ, რომ გუშინ არ ყოფილან უკრაინაში მოთამაშე ირაკლი მოდებაძე და გიორგი ციმაკურიძე, ისინი კი, ვფიქრობ, ახალგაზრდულში მიწვევას იმსახურებენ.

— გოჩა ტყებუჩავა როდემდე უნდა იყოს ასე, ცაში გამოკიდებული?

— თავადაც მსურს, გავერკვე ამ სიტუაციაში, არც მე ვიცი, ასე როდემდე იქნება, თუმცა ვიმედოვნებ, ჩემი საკითხი მალე გადაწყდება.

— კვიპროსზე ეროვნულის მწვრთნელი იყავით, ახლა ახალგაზრდულს უთავკაცეთ, იქამდე „დინამოში“, „ლოკომოტივში“, „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობდით. მოკლედ, საქართველოში მოიარეთ ფეხბურთელთა შესაძლებლობები კარგად გეცოდინებათ. როგორი ფიქრობთ, მით უმეტეს, გუშინდელი მატჩის მნახველი, ჩვენი ჩემპიონატიდან ეროვნულ გუნდში თამაშს ვინ იმსახურებს?

— გვარებს ვერც მე ჩამოვთვლი, თუმცაკი საქართველოს ჩემპიონატში არის რამდენიმე ფეხბურთელი, ვისი მიწვევაც ნაკრებში შეიძლება.

— ბევრია ასეთი?

— ლეგიონერი ბევრი გვყავს?

— არც ისე, ალბათ, შვიდ-რვა, ვინც სანაკრებო მოთხოვნებს აკმაყოფილებს...

— ნაკრებში კი გაცილებით მეტი უნდა იყოს. ერთი სურვილი მაქვს, ფეხბურთელებმა ადგილი დაიმკვიდრონ თავიანთ კლუბებში. მათთვის აუცილებელია სათამაშო პრაქტიკა. ნურავინ ჩათვლის, რომ გუნდში 10-15 წუთი თამაში სანაკრებო დონისთვის საკმარისია, ცაში ნუ იფრენენ.

— და ერთიც, ჟირესთან გუშინდელ შეხვედრას ვინ ესწრებოდა?

— ნიკა ჩხეიძე და გია გურული, მოგვიანებით კი ოთარ გაბელია შემოგვიერთდა.

ძოგა ინასარიძე

გიორგი ციმაკურიძის ფოტო

თბილისი. 28 აპრილი. 18 საათი. ეროვნული. 3 000 (ტევადობა 70 900)

დინამო 6:1 აფხაზეთი

1:0 დვალი (1), 2:0 მელქაძე (30), 3:0 კაკალაძე (60), 4:0 დვალი (65), 5:0 კაკალაძე (73), 6:0 მელქაძე (83), 6:1 დარსანია (89)

დინამო: ზოიძე (გვარამაძე 46), შაშიაშვილი (უ. ლობჟანიძე 46), სილაგაძე, კანდელაკი, ბურდული (ქუცურუა 64), ხმალაძე (კ. მახარაძე 71), ანჩაბაძე, რომერო, კაკალაძე, მელქაძე, დვალი (ნოვალოვსკი 68)	**აფხაზეთი:** ჩალაძე (ლ. თოლორდავა 68), გ. ბერიანიძე (გვაძაბია 71), ხუბუტია, უგრეხელიძე, გოგიტაძე (კვეკვესკირი 46), ბართია (ერქვანია 46), სიჭინავა (ი. თოლორდავა 71), დარსანია, ი. ჭანტურია (ფიფია 68), გაბისკირია, რუსია (ელიავა 68)
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე	**მწვრთნელი:** ბონდო კაკუბავა

გაფრთხილება: ზოიძე (11), კანდელაკი (68)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ი. აფციაური (დუშეთი), ა. ნონიკაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი)

გახსოვდეს და გტკიოდეს

აფხაზეთი რომ სრულიად საქართველოს ტკივილია, ამის დასტური გუშინდელი დღეც იყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობის თაოსნობით გუშინ ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი გაიმართა: „დინამო“ — აფხაზეთის ნაკრები. ეს იყო ცრემლიანი, სევდიანი, ემოციებით სავსე მატჩი. იყო ბევრი გოლი, სიხარული, მოგონება...

საქართველოს ჩემპიონატთან შედარებით, მატჩს საკმაო, 3 ათასამდე მაყურებელი ჰყავდა — უმეტესობა, ცხადია, დევნილი.

შეხვედრა კარგად იყო ორგანიზებული და სამახსოვრო პრიზებიც საკმაოდ დარიგდა. ყველაზე დიდი საჩუქარი კი პატარა ბიჭებმა მიიღეს — მატჩის დაწყებამდე აფხაზეთის საფეხბურთო სკოლებს, „კოლხას“ და „კელასურს“ ბურთები გადასცეს. ნამატჩევს პრიზები ირაკლი ზოიძეს (მატჩის ყველაზე ასაკოვანი მონაწილე), აკაკი ხუბუტიას (ყველაზე ახალგაზრდა), გიორგი ანჩაბაძეს („დინამოს“ საუკეთესო) და თენგიზ უგრეხელიძეს (აფხაზეთის ნაკრების საუკეთესო) დაურიგდათ.

მატჩს სუფთა საფეხბურთო ინტერესიც ახლდა — გუშინ გია გეგუჩაძის დებიუტი შედგა „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში. მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ მაინც...

მოლოდინისამებრ, გეგუჩაძის გუნდში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა. ამათგან თავი ჯაბა დვალმა გამოიჩინა — „დინამოში“ დებიუტი დუბლით აღნიშნა.

მატჩზე ბევრს არაფერს ვიტყვით. მით უმეტეს, ყველაფერი ანგარიშიდან ჩანს. რაც შეეხება „დინამოს“ შემადგენლობას, გია გეგუჩაძემ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ თქვა: „გუნდიდან მხოლოდ სამი ფეხბურთელი გავუშვით — მამუკა წერეთელი, ალეკო გოგობერიშვილი და მიხეილ ბობოხიძე. დანარჩენები „დინამოში“ რჩებიან და მათ სრულად ვენდობი. მართალია, დღეს რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს — იმ ბიჭებმა გუშინ ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში ითამაშეს და დასვენება სჭირდებოდათ“.

და კიდევ. გუშინდელ მატჩშივე ნათლად გამოჩნდა ახალი მწვრთნელის ხელწერა: აქამდე ცენტრალურმა მცველმა გიორგი შაშიაშვილმა მარჯვენა ფლანგი ჩაიბარა. შეტევაზე აქცენტი კი თვალსაჩინო იყო: დვალი-კაკალაძე-მელქაძე. თავდამსხმელთა ამ სამეულმა გოლებიც თანაბრად გაინაწილა.

ძახა შალამბერიძე

გიორგი ციმაკურიძის ფოტოები

ემოციებს არ ავყოლივარ, თქვენ რა იცით, რას ვხედავთ?!

გუშინ „დინამოს“ ახალ მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძეს დებიუტი ჰქონდა. სადებიუტო იყო კლუბის მმართველი დირექტორის დავით პეტრიაშვილის და გეგუჩაძის ერთობლივი პრესკონფერენციაც, რომელიც „დინამო“ — აფხაზეთის ნაკრების მატჩის შემდეგ გაიმართა ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში



გია გეგუჩაძე და დავით პეტრიაშვილი

ფოტო: ალექსანდრე ბერიძის

დავით პეტრიაშვილი: მწვრთნელის შეცვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ეს ბუნებრივიცაა — „დინამო“ ხომ რიგითი, ჩვეულებრივი გუნდი არ არის. ბოლო დროს „დინამო“ კრიზისმა მოიცვა და ჩვენ გადამჭრელი ზომები უნდა მიგვეღო. მწვრთნელის შეცვლა არ იყო ემოციებზე დამყარებული გადაწყვეტილება, ემოციებს რომ ავყოლოდით, მაშინ შესაძლოა, ივო შუშაკი „ტირანასთან“ მარცხის შემდეგ გაგვეშვა გუნდიდან. გადაწყვეტილება ანალიზის შედეგად მივიღეთ. შუშაკის ხელში „დინამომ“ საქართველოს ჩემპიონობა, თასი და თანამეგობრობის თასი მოიგო. უმადურები არ ვართ და შუშაკს ღვაწლს არ ვუკარგავთ. პირიქით, შუშაკის ღვაწლი რომ არ გაუფერულებულიყო, ამიტომაც მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ჩვენი და შუშაკის ერთობლივი გადაწყვეტილება იყო.

— დღევანდელი გადასახედიდან შუშაკს „დინამოში“ მეტის გაკეთება არ შეეძლო, ეჭვქვეშ დგებოდა „დინამოს“ სამომავლო ამბიციები.

— გეგუჩაძეს დებიუტს ვულოცავ. ჩვენ ამ სეზონშიც მხოლოდ უმაღლესი მიზნები გვამოძრავებს. გეგუჩაძე სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს გუნდს, მერე კი ვნახოთ.

— „დინამო“ დატოვა სპორტულმა დირექტორმა გივი ნოდიამ, მეკარეების მწვრთნელმა გელა ჭანტურიამ და ფიზმომზადების მწვრთნელმა ავთო ბერიძემ. სპორტული დირექტორის თანამდებობა საერთოდ გავაუქმეთ — ტექნიკური დირექტორი კახა ჭუმბურიძეა და დუბლირება გამოდიოდა. „დინამო“ დატოვეს ფეხბურთელებმაც — მამუკა წერეთელს „დინამო 2“-ში ვარჯიში შევთავაზეთ, მაგრამ იუარა. „დინამო 2“-ში ივარჯიშებს მიხეილ ბობოხიძე, „დინამო“ დატოვა ალეკო გოგობერიშვილმაც.

— გაგიმხელთ იმას, რომ ბადრი პატარკაციშვილისა და შუშაკის ურთიერთობა „დინამოში“ არ დაწყებულა. პატარა საიდუმლოსაც გეტყვით: პატარკაციშვილს სხვა საფეხბურთო კლუბებთანაც აქვს ურთიერთობა და არ არის გამორიცხული, რომ შუშაკი ერთ-ერთ მათგანში ვიხილოთ.

გია გეგუჩაძე: დიდი მადლობა კლუბის ხელმძღვანელობას ასეთი ნდობისთვის. კარგად მესმის, სად ვარ. ნდობის გარდა ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა.

— რაც შეეხება გუნდიდან ფეხბურთელების გაშვებას, ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. ეს ფეხბურთელები აბსოლუტურად დადებითი პიროვნებები არიან. ამ საკითხზე სხვას ვერაფერს გეტყვით.

— ამ ეტაპზე მაღალი მიზნების მიღწევა „დინამოს“ რეალურად შეუძლია.

— სად ხედავთ ლადო ახალაიას ადგილს, თავდასხმაში თუ დაცვაში?

— რა იცით, რომ ახალაიას ადგილს საერთოდ ვხედავ?

დავით თავართქილაძე

შუშაკის ახალაია შუშისა გახდა

მას ვერ ხედავენ

– რა იცით, რომ საერთოდ ვხედავ ჩემს გუნდში ახალაიას ადგილს? – ასეთი იყო დინამოელთა ახალი მთავარი მწვრთნელის, გია გეგუჩაძის საპასუხო კითხვა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე



შუშაკ დოლენგავაშვილის ფოტო

ბუნებრივია, ყველა მწვრთნელს თავისი აზრი თუ მოსაზრება და პოზიცია აქვს და მასში ადგილი ხშირად ისეთი ფეხბურთელებისთვისაც არ არის, რივალდო ან ელბერი რომ არიან. მაგრამ ეროვნული ჩემპიონატი და „დინამო“ ნამდვილად არ არიან განებივრებული ახალაიას დონის ფეხბურთელებით. ბოლო დროს უნივერსალად ჩამოყალიბებულმა ფეხბურთელმა, ფაქტობრივად, ყველა პოზიციაზე ითამაშა და თან არცთუ ურიგოდ. მისი „არდანახვის“ მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ ახალაია შუშაკის „ლუბიმჩიკად“ ითვლებოდა და იმ ფეხბურთელთა შორის იყო, ვინც არ მალავდა სიმპათიებს მწვრთნელისადმი. ერთ-ერთი ასეთი, ალეკო გოგობერიშვილი უკვე ექსდინამოელია. თავად ახალაიამ ახალი მწვრთნელის სიტყვებზე ეს გვითხრა: „თუ ჩემს ადგილს გუნდში ვერ ხედავენ, გამიშვან, ჩემს გზას ვნეხავ, არ დავიკარგები“.

კულუარული და სანდო ცნობით, ახალ მწვრთნელს და ახალაიას შორის გუშინდელ მატჩამდე შელაპარაკებაც მოხდა არცთუ მნიშვნელოვანი მიზეზით, რაც დაძაბულ ვითარება-ურთიერთობაზე მეტყველებს.

როგორც ჩანს, საკადრო ცვლილებები „დინამოში“ გრძელდება.

დავით ერაძე



ალეკო გოგობერიშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

როგორც ვვარაუდობდით, ისე მოხდა: საკადრო წმენდა „დინამოში“ ფეხბურთელებსაც შეეხოთ. ჯერ მხოლოდ ოთხი გაშვებულის ვინაობაა ცნობილი, თუმც სავსებით შესაძლოა, მათი რაოდენობა გაიზარდოს

რა კომენტარი...

წადითო და წამოვედით

მაშ ასე, დინამოელები აღარ არიან ალეკო გოგობერიშვილი, მიხეილ ბობოხიძე და მამუკა წერეთელი. „დინამო 2“-ში გადაიყვანეს ბრაზილიელი კარლოს და რობა. კაპიტნობიდან ჩამოაქვეითეს გიორგი შაშიაშვილი. მისი ადგილი გიორგი ნემსაძემ დაიკავა.

ალეკო გოგობერიშვილის გაშვება ძნელად ასახსნელი ამბავია, კაცი თითქოს „დინამოს“ სული და გული იყო, თავისი თამაშით ალენ ჟირესის ყურადღებაც მიიქცია და...

— რა კომენტარი შეიძლება გავაკეთო? კრებაზე გამომიცხადეს, რომ გუნდს აღარ ვჭირდები. რა უნდა მექნა, მშვიდად ავდექი, მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე.

— **შენი გაშვება მართლაც მოულოდნელი იყო.**

— მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ პრობლემა არ მექნებოდა. სიმართლე გითხრა, დაბნეულიც ვარ და სიტუაციაში გასარკვევად დრო მჭირდება. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი.

ასეთივე დღეშია *მიხეილ ბობოხიძეც:*

— ვერ ვიტყვი, რომ საფეხბურთო სამყაროში უპრეცედენტო ამბავი მოხდა, მაგრამ ყველაფერს თავისი ფორმა და კაცური ნორმები აქვს, თორემ ტრანსფერზე ვინ არ დაუყენებიათ. მეც ავდექი და კრება დავტოვე. აბა, რა მექნა, ხვეწნას ხომ არ დავუწყებდი?! გულდასაწყვეტი ისაა, რომ სეზონი გამიფუჭეს, მაისის ბოლომდე რომ მოეცადათ, არც მე ვიყავი გამჩერებელი. ახლა ერთი თვე გამიცდება.

— **რა უნდა ქნა?**

— არაფერი. ერთ თვეში სეზონი დასრულდება და მერე ალბათ კლუბსაც მოვნახავ. „დინამოს“ რაც შეეხება, მეგობრები იქაც დამრჩნენ და ყველას ვუსურვებ, ჩემი ბედი არ გაიზიარონ. მაგრამ მგონია, რომ ათვალწუნებულ ფეხბურთელთა სია კიდევ გაიზრდება. ზოგს ჰგონია, შუშაკის გაშვებით კარგი საქმე გააკეთეს, ესეც ძალიან მალე გამოჩნდება. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მაგრამ ასეთ ვითარებაში ჩემპიონობას და თასს როგორ შეინარჩუნებენ, ამასაც ვნახავთ. უმადურობაა და მეტი არაფერი, დაეცადათ, კაცს სეზონი მაინც ჩაემთავრებინა. რა უნდათ, ვერ გამიგია...

დავით ერაძე

მიხეილ ბობოხიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

გვაჩვენეთ პიტერ ბონდი და დაპირებული დინამო

„დინამოდან“ ივო შუშაკი გაუშვეს და როცა გუნდიდან არასასურველი შედეგის გამო მწვრთნელს ითხოვენ, ეს ზოგადად ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ საქმე ისაა, რომ „დინამოში“ ჩვეულებრივი ამბები არ ხდება.



ბადრი პატარკაციშვილის ფოტოები

2001 წელი: პოლიციის მინისტრმა კახა თარგამაძემ „დინამოს“ ერთ-ერთ ახალ მესვეურად პიტერ ბონდი წარმოგვიდგინა

2001 წლის თებერვლში „დინამოს“ შინაგან საქმეთა სამინისტრო დაეპატრონა და კლუბი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკუთრებად გააფორმა. ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე პოლიციამ „დინამოს“ აქციათა 90 პროცენტი კონსორციუმ „სპორტ უორლდ პარტნერშიპს“ მიჰყიდა ჩუმად, ყოველგვარი ტენდერის გარეშე და „დინამოს“ ახალი პატრონის პრეზენტაციაზე ბრიტანეთის მოქალაქე პიტერ ბონდი გამოგვეცხადა, როგორც ამ კამპანიის კომერციული დირექტორი. მაშინ რატომღაც ხელოვნურად მალავდნენ იმას, რომ „დინამო“ ბადრი პატარკაციშვილმა იყიდა.

მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა და „დინამომ“ ის მოახერხა, რომ შარშანწინ საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა, შარშან საქართველოს ჩემპიონატი და თასი მოიგო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე ერთი ეტაპიც ვერ გადალახა. წლეულს კი „დინამო“ საქართველოს ჩემპიონატში ჯერ მესამე ადგილზეა, ხოლო თასზე ნახევარფინალამდეა მისული. ასეთი მონაგარი აქვს კლუბს, რომელსაც ძალიან შეძლებული პატრონი ჰყავს.

ამონაწერი 2001 წლის 27 დეკემბრის „სარბიელიდან“, სადაც „დინამოს“ მაშინდელი დირექტორატის გავლენიან წევრ ნიკა კობალავასთანაა ინტერვიუ:

„ — „დინამოს“ აქციათა 90 პროცენტის მფლობელი კონსორციუმი ვალდებულია, წელიწადში კლუბს მინიმუმ ათი მილიონი ლარი დაახარჯოს. რა თანხა გაიღო ამ კომპანიამ ჯერ და თუ აპირებს მომავალში კლუბის წლიური ბიუჯეტის გაზრდას.

— ასეთი ვალდებულება მართლაც არსებობს. ჯერჯერობით კი დაახლოეით 4 მილიონი ლარია დახარჯული. მომდევნო ეტაპზე კლუბის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზრდება“.

მომდევნო ამონაწერი 2003 წლის 6 ნოემბრის ინტერვიუდანაა „დინამოს“ მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილთან:

„ — როცა შარშანწინ პოლიციამ კლუბი ახალ პატრონს ჩააბარა, ითქვა, რომ „დინამოს“ ახალი მფლობელი ვალდებულია წალიწადში, სულ მცირე, ხუთი მილიონი დოლარი დაახარჯოს გუნდს. თქვენი სამომავლო გეგმები ითვალისწინებს კლუბის ბიუჯეტის ზრდას?

— არ ვიცი, მაშინ ვინ რა თქვა. ისე კი, „დინამო“ ფინანსური და ადამინური რესურსებით საქართველოში ყველაზე წელგამართული კლუბია. ახლა ჩვენთვის უმთავრესია, რომ ფინანსურ და წმინდა სპორტულ მხარეებს შორის ზუსტი ბალანსი იყოს, არ იყოს მათ შორის შეუსაბამობა. ასეთ ბალანსს აუცილებლად მივაღწევთ“.

ვგონებ, საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს, რა თანხას ხარჯავს „დინამოს“ პატრონი, ვინც კლუბი მალულად იყიდა. სხვის საქმეში და ბუღალტერიაში ცხვირის ჩაყოფა ერთია, მაგრამ „დინამოს“, ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ნაწილის ავანჩავანი მეორე. უნდა გაირკვეს, მართლა აკისრია თუ არა „დინამოს“ მფლობელს კონკრეტული ფინანსური ვალდებულება და თუ აკისრია, ეს ვალდებულება უნდა გაკონტროლდეს. ხელშეკრულება პოლიციასა და „დინამოს“ 90 პროცენტის მფლობელს შორის შინაგან საქმეთა სამინისტროში ინახება.

მაგრამ ვისი ბრალია ის, რომ „დინამო“ 2001 წლიდან დღემდე ოდენ ერთი კარგი ქართული გუნდია, ხოლო ევროპული საზომით ჯერაც ვერაფერი ხვითო?

გუშინწინ „დინამოდან“ ივო შუშაკი დაითხოვეს და გამოდის, რომ ყველაფერი მეტწილად ხორვატი მწვრთნელის ბრალია. მაგრამ ვისი ბრალია ის, რომ „დინამოდან“ მეორე ეტაპისთვის ოთხი წამყვანი ფეხბურთელი გაუშვეს? ლადო ბურდულს ტრავმა რომ არ მიეღო, ისიც წავიდოდა თბილისურიდან კიევურ „დინამოში“. სანაცვლოდ „დინამომ“ ოდენ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი, გიორგი ნემსაძე დაიმატა.

ვისი ბრალია ის, რომ „დინამო“ ვერ ყიდულობს საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეულ ფეხბურთელებსაც კი? ვისი ბრალია ის, რომ „დინამოს“ ჯერაც არ აქვს საკადრისი მინდორი არც სავარჯიშოდ და არც სათამაშოდ? ვისი ბრალია ის, რომ შუშაკმა „სარბიელთან“ შარშანდელ ინტერვიუში თქვა, „დინამოს“ განვითარების სტრატეგიული გეგმა არ აქვსო?

შუშაკმა „დინამო“ 2002 წლის ზამთარში ჩაიბარა. მაშინ გუნდი მე-6 ადგილზე იყო და სეზონი მესამეზე ჩაამთავრა, „დინამო“ ბოლო ტურამდე იბრძოდა ჩემპიონობისთვის. მომდევნო სეზონში „დინამომ“ დუბლი გაახერხა, მაგრამ გამოჩნდა, რომ შუშაკის გუნდი არ თამაშობს ესთეტიურ სწრაფ ფეხბურთს, შუშაკის „დინამო“ მეტწილად ცალკეული მოთამაშეების კლასის ხარჯზე გადის ფონს. მაგრამ შუშაკს მაღალ დონეზე ჰქონდა სათამაშო დისციპლინა. „დინამოს“ ფეხბურთელები შუშაკს დიდ პატივს სცემდნენ, ხორვატმა ეს მათდამი სითბოთი დაიმსახურა. ამ ცოტა ხნის წინათაც დინამოელების ყველა ინტერვიუში ამოიკითხავდით შუშაკის მხარდამჭერ სიტყვებს.

შუშაკმა „დინამოს“ რამდენიმე პრინციპული მატჩი მოაგებინა, მაგრამ ბევრშიც დამარცხებული დარჩა. მაგალითად, შარშანდელ პლეი ოფში შუშაკის „დინამო“ ორჯერვე დამარცხდა ქუთაისის „ტორპედოსთან“. ყველაზე დიდი დარტყმა კი შუშაკისთვის „ტირანა“ იყო — ალბანელებთან ნამატჩევს შუშაკმა თქვა, მარცხი სანახევროდ ჩემი ბრალია, სანახევროდ კი ფეხბურთელებისო, მაგრამ ივო დინამოელებს მაინც უყვარდათ. არც შარშანდელი 30 აპრილი დაგვიწყებია, უახლოეს წარსულში ქართველთა ყველაზე გემრიელი გამარჯვება — შუშაკის დამოძღვრილმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთისას 1:0 რომ მოუგო...

მაგრამ ახლა მოსაკითხი „დინამოა“, თორემ ხორვატი მწვრთნელი თავის გზას ეწევა და, ალბათ, არც დაიკარგება. „დინამოში“ კი ერთხელაც იწყება ახალი ეტაპი...

დავით თავართქილაძე

გუშინ პროფლიგის მესვეურებმა საგანგებო სხდომა გამართეს, რომლის საფუძველიც „თბილისს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის მამუკა გუგეშაშვილის საქმიანობა გახლდათ. გუგეშაშვილს კონკრეტული ფაქტები ეპოვნა გარიგებულ-ჩაწყობილ მატჩებზე და სათქმელიც ხმამაღლა თქვა. შედეგად პროფლიგელებმა უმაღლესლიგელთა ხელმძღვანელები მოინვიეს და დახურულ კარს მიღმა ითათბირეს

სიტყვა ითქვა, საქმე ვნახოთ

გუგეშაშვილმა გარიგებულები დაარიგა

გუშინდელ სხდომას მხოლოდ „მერცხალი“ არ ესწრებოდა, ოზურგეთელებს უმაღლესლიგელთა პრობლემები უკვე აღარ ადარდებთ. შეხვედრა ჟურნალისტებისთვის დახურული იყო და არც სხდომის შემდეგ გამართულა პრესკონფერენცია, თუმც პროფლიგის პრესსამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დღის წესრიგში რამდენიმე საკითხი იდგა.

კლუბების მესვეურებმა დიდხანს იმსჯელეს უხარისხო მოედნებზე და ამასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილებაც მიიღეს. ვისაც არ ექნება ხეირიანი სტადიონი, ის უმაღლეს ლიგაში არ ითამაშებს. შეიქმნება საგანგებო კომისია, რომელიც სეზონის ბოლოს პროფლიგის კონფერენციაზე კონკრეტულ დირექტივებს მისცემს კლუბებს და თვალყურს მიადევნებს მოედნების მოწესრიგების პროცესს.

გუშინ აგრეთვე ითქვა ფეხბურთელების დაზღვევის აუცილებლობაზე. აქამდე დაზღვევა ნებაყოფლობით ხდებოდა, ახალი სეზონიდან კი ეს სავალდებულო იქნება.

„ლოკომოტივის“ გენერალურმა მენეჯერმა ლევან ყიფიანმა წინადადება წამოაყენა ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გაზრდის თაობაზე. აქამდე გუნდები სეზონის წინ 22-22 ათას ლარს იხდიდნენ და ეს თანხა მსაჯების ანაზღაურებას ხმარდებოდა, რაც ჯამში კონკრეტული მსაჯისთვის მცირე თანხას წარმოადგენდა. ხელმოკლე მსაჯი ჩაწყობილი მატჩების ალბათობას ყოველთვის გაზრდის და ეჭვის საბაბს დაგვიტოვებსო, გვითხრა *ლევან ყიფიანმა*, გუშინ რომ შევეხმიანეთ. გუშინდელ სხდომაზე დიდი დრო დაეთმო მამუკა გუგეშაშვილის განცხადებას. გუგეშაშვილმა თავი შეიკავა გარიგებაში შემჩნეულთა ვინაობის საჯაროდ დასახელებისგან, თუმც გუშინ უკლებლივ ყველა შეთანხმდა, რომ ამას იქით მსგავს ვითარებაში სათქმელი ხმამაღლა ითქმება.

გუშინ კომენტარისთვის *მამუკა გუგეშაშვილს* დავუკავშირდით.

— ძალიან კარგია, რომ ჩემს განცხადებას პროფლიგის რეაქცია მოჰყვა. მე მართლაც მაქვს კონკრეტული სამხილები, თუმც გადავწყვიტე, რომ დამნაშავეთა საჯაროდ გამოაშკარავება ამ ეტაპზე არაკორექტული იქნებოდა, რადგან თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე შევხვდი და ვამხილე, ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმისთვის, რომ მათი მხრიდან მსგავსი რამ არ განმეორდეს. დღევანდელ შეხვედრაზე გადავწყვიტეთ, რომ ამის მერე სათქმელი ბოლომდე ითქმება და კლუბებს შორის არაფერი იქნება დამალული. გარიგებული თამაშები ბოლოს მოუღებს ქართულ ფეხბურთს და ამას ყველა ხერხით უნდა ვებრძოლოთ.

კარგია, რომ სათამაშო მოედნების მოწესრიგებას ყველამ მხარი დაუჭირა. ხეირიანი მოედანი ხარისხიანი ფეხბურთის საწინდარია და ეს პრობლემაც დროულად მოსაგვარებელია.

პაატა კვანტალიანი

მამუკა გუგეშაშვილი

ბადრი პატარკაციშვილის ფოტო

ერთი კანონი კოლინასთვის მილანი შუადღეს ირჩევს

კვირას იტალიაში შეიძლება წესი დაარღვიონ: მსაჯს ამ ქვეყანაში, ერთ სეზონში, ამა თუ იმ გუნდის ექვს მატჩზე მეტის მომსახურება არ შეუძლია, პიერლუიჯი კოლინას კი „რომას“ ექვსი შეხვედრა უკვე ნამსაჯი აქვს

ერთი შეხედვით, მერე რა, დიდი ამბავი, კვირა რომ დადგება „რომას“ შეხვედრას ვინმე სხვა არბიტრი გაუძღვეს და ეგ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ კვირას „რომა“ მილანში თამაშობს ანუ „სან სიროზე“ მთელი სეზონის ცენტრალური შეხვედრაა, რომლის სხვისთვის ნდობა, ალბათ, მაინც ძნელია.

ასე და ამგვარად, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა ასოციაცია საგონებელში არიან და როგორც ამბობენ, წესის შეცვლაზეც კი მუშაობენ. ალბათ, როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად, ამ წესის შეცვლასაც ეყოლება თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები, ასე რომ, რა შედეგს მოვისმენთ პარასკევს, კაცმა არ იცის. ხოლო თუ წესს არ შეცვლიან, მაშინ „სან სიროზე“ ჯანლუკა პაპარესტას, რობერტო როზეტის ან მატეო ტრეფოლონის მიავლენენ.



ლუჩანო მოჯი

აღსანიშნავია, რომ პაპარესტას დანიშვნას „რომას“ ფანები შეხვდებიან ცუდად. სწორედ პაპარესტა მსაჯობდა „მილანის“ თამაშებს „ემპოლისა“ და „კიევოსთან“ და ამ ორ შეხვედრაში „შავ-წითლებმა“ სწორედ არბიტრის საეჭვო გადაწყვეტილებების წყალობით გაიმარჯვეს. რაც შეეხება როზეტის, იგი ახლახან რომაული დერბის სჯიდა და „რომას“ გოლი არ ჩაუთვალა, მაგრამ ის გოლი არც უნდა ჩაეთვალა, სამაგიეროდ, ისეთი პენალტი დაუნიშნა, თქვენი მოწონებული.

ამ შეხვედრასთან დაკავშირებით კიდევ იმის თქმა გვინდა, რომ როგორც გუშინდელ „სარბიელში“ გვეწერა, „სკაი იტალიას“ თხოვნით ქვეყნის საფეხბურთო ლიგა „მილანისა“ და „რომას“ მატჩის შუადღიდან საღამოს, კომერციული თვალსაზრისით უკეთეს სარეკლამო დროს გადატანაზე მსჯელობდა — მოგეხსენებათ, ესეც კანონის დარღვევა იქნებოდა, რადგან წესით 31-ე ტურიდან მოყოლებული ყველა შეხვედრა ერთდროულად, იტალიური დროით შუადღის სამ საათზე უნდა გაიმართოს — მაგრამ ტელეკომპანიას უარი შეუთვალეს, წინააღმდეგი თავად „მილანი“ წავიდა.

პიერლუიჯი კოლინა

და, ყოველივე ამასთან ერთად, მსაჯობის პრობლემის მოსაგვარებლად ახალი ინიციატივით გამოვიდა „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი, რომელმაც ბრძანა:

„მეოთხე მსაჯი სატელევიზიო მონიტორით უნდა აღვჭურვოთ და ამ გზით შევამოწმებთ ყველაზე თვალსაჩინო, საკამათო ეპიზოდებს. ვნახოთ, იქნებ ამან მდგომარეობა მართლაც გამოგვისწოროს“.

პაპუნა კედია

მათ ელის სან სიროზე



ადრიან მუტუ

ადრიან მუტუს გამო „ჩელსიში“ რომ დიდი ამბავია ატეხილი, გუშინდელ „სარბიელში“ გვეწერა — ამბობენ, მისმა ლონდონელმა თანაგუნდელებმა აღმასრულებელ შეფს, პიტერ კინიონს რუმინელის გუნდიდან გაშვებაც კი სთხოვესო. ერთი სიტყვით, ბიჭი გაყოყლოჩინებულია და თან განსაკუთრებით ვერც მოედანზე გამოირჩევა, ასე რომ, სულ არ არის გამორიცხული ის იტალიაში დაბრუნდეს, ოღონდ არა „პარმაში“, საიდანაც „ჩელსიმ“ 18 მილიონ ინგლისურ გირვანქად წაიყვანა, არამედ, „მილანში“, რომელსაც ინტერესი გამოუჩენია.

მუტუ „პარმაში“ გამორჩეულ ფეხბურთს თამაშობდა, 2002-2003 წლების სეზონში 18 გოლი გაიტანა, მაგრამ გადაბარგდა თუ არა ლონდონში, გაუფერულდა. ლონდონს მასზე გაცილებით უკეთ მოერგნენ არგენტინელი ერნან კრესპო და ირლანდიელი დემიენ დაფი, რომელთაც თანაგუნდელი გვარიანად შეავიწროვეს.

იტალიაში კი „ინტერისა“ და „ვერონას“ მაისურით ნათამაშებ რუმინელს მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს და თუ იგი „ჩელსიდან“ წავა — და, როგორც ჩანს, უეჭველად წავა, — სწორედ სერია A-ში ამოჰყოფს თავს. გარდა ამისა, ზოგი წყაროს თანახმად, „მილანი“ ახალ თავდამსხმელს ეძებს, ისეთს, რომელიც ანდრეი შევჩენკოსთან უფრო ფართოდ ააწყობდა თამაშს და მუტუ წესით სწორედ ასეთი უნდა იყოსო.

ადრიან მუტუმ, სხვათა შორის, 1999 წლის დეკემბერში იტალიური კარიერა სწორედ „სან სიროზე“ დაიწყო: ბუქარესტის „დინამოდან“ „ინტერში“ გადავიდა.

ერთადერთი, რამაც მუტუს „სან სიროზე“ ხელმეორე გამოჩენას შესაძლოა ხელი შეუშალოს, სატრანსფერო ფასია. რამდენადაც ცნობილია, „ჩელსი“ სულ მცირე, 10 მილიონს მაინც მოითხოვს.

და კიდევ, ერთი შესაძლო სიახლე: „სან სირო“ მომავალი სეზონიდან შეიძლება მადრიდის „რეალის“ არგენტინელი ნახევარმცველის, ესტებან კამბიასოს ახალ ბინად იქცეს. იტალიურ კარიერას ივიც ალბათ იქ დაიწყებს, სადაც 99-ში მუტუმ დაიწყო.

კამბიასოს აგენტი პეპინო ტირი აცხადებს, რომ ნახევარმცველისა და „შავ-ლურჯების“ მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია:

„შეთანხმება მიღწეულია. მოლაპარაკებების დროს წინააღმდეგობა ერთხელაც არ წარმოშობილა. „ინტერის“ ტექნიკურ დირექტორ მარკო ბრანკასთან ჩინებული ურთიერთობა გვაქვს, ხოლო ხელშეკრულება აქამდე მხოლოდ ფორმალურ მიზეზთა გამო არ არის ხელმოწერილი“.

საინტერესოა, რომ 24 წლის კამბიასო „სან სიროზე“ უკაპიკოდ გადავა, რადგან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისი კონტრაქტის ვადა ახლა იწურება. არგენტინელს უკავშირებდნენ „მილანს“, „არსენალს“ და „იუვენტუსსაც“. კამბიასოს „ინტერში“ მისვლა, საქმეში ჩახედულთა აზრით, გუნდიდან მატიას ალმეიდას ან ხავიერ ფარინოსის გაშვებას ნიშნავს.

პაპუნა კედია

„იუვენტუსს“ „ლაციოს“ მცველის, მასიმო ოდოს შეძენა თავიდან მონდომებია და ერთიხანობა შეწყვეტილი ვაჭრობის განახლება გადაუწყვეტია — 27 წლის ფეხბურთელი წელიწადზე მეტია „ბებერი ქალბატონის“ „სატრანსფერო გურუდ“ წოდებულ დირექტორს, ლუჩანო მოჯის თვალში მოუდის

ოდო კვლავ არხევს ნაცნობ ლოლიანს



მასიმო ოდო

ოდო იტალიის ნაკრების წევრია, ის, ალბათ, ევრო 2004-ზე ითამაშებს. „ლაციოსთან“ ოდოს 2007 წლამდე აქვს ხელშეკრულება გაფორმებული, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მას და კლუბს შორის საერთო ენა გამოინახება.

როგორც ამბობენ, „იუვენტუსს“ ოდოს შესაძენად ფულად 6 მილიონ ევრომდე აქვს გადადებული, პლუს ორ ნიჭიერ ახალგაზრდასაც გაუყენებს დედაქალაქის გზას. ეს ნიჭიერი ახალგაზრდები გახლავან დავიდ კიუმიენტო და რაფაელე პალადინი, ოღონდ ისინი „ლაციოს“ სამუდამო მფლობელობაში არ გადავლენ, „იუვეს“ საკუთრებად დარჩებიან.

საინტერესოა, რომ ოდოს „იუვენტუსში“ გადასვლა უპირველეს ყოვლისა, ალბათ მსოფლიოსა და ევროპის ფრანგი ჩემპიონის, ლილიან ტურამის ტურინიდან წასვლას ნიშნავს. ტურამს კოშმარული სეზონი ჰქონდა, ეს ფაქტია და რა გასაკვირია, „დელე ალპიზე“ მისი მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ რომ იყოს მოქცეული? თუმცა, არის მეორე ვარიანტიც: თუ „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელი ინებებს, ტურამის მარჯვნიდან ცენტრში შეწევაც შეიძლება. საქმე ის არის, რომ „იუვეს“ დაცვის ცენტრშიც სერიოზული პრობლემა აქვს — ნიკოლა ლეგროტალიე არ გამოდგა.

კიდევ, „იუვენტუსი“ მხოლოდ დაცვაზე როდი ფიქრობს, თავდასხმის გაძლიერებაც აქვს გულში ამოჭრილი და ამისთვის „მონაკოსგან“ ესპანელი ფერნანდო მორიენტესის შეძენას აპირებს. მოგეხსენებათ, მორიენტესზე ტურინელებზე უწინ „რომას“ ჰქონდა თვალი დადგმული, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ ძალიან ბუნდოვანია. საქმე ის გახლავთ, რომ „ელ მორო“ „მონაკოში“ ღარრჩება, მისი „რეალიდან“ გასესხების ვადა ამოწურულია. ასე რომ, წესითა და რიგით ისევ „რეალში“ უნდა დაბრუნდეს.

„მადრიდში კონტრაქტით კიდევ ერთ სეზონს უნდა დავრჩე — თქვა მან — მაგრამ იტალიაში თუ წავიდოდი? რატომაც არა, სერია A მხიბლავს“.

„იუვემ“, სხვათა შორის, შეიძლება „რეალს“ მორიენტესის სანცვლოდ ზემოხსენებული ტურამის შესთავაზოს, თუმცა დაახლოებით იგივეს აპირებს „რომაც“. ის მადრიდში ვალტერ სამუელის ან ემერსონის უპირებს გაშვებას.

პაპუნა კედია

კეირუში არ ტყდება

პორტუგალიელმა პორტუგალიელი ესპანელებისგან დაიცვა

მიუხედავად „ბარსელონასთან“ წაგებისა, „რეალის“ მწვრთნელი კარლუშ კეირუში 2003-04 წლების პრიმერას ჩემპიონად სწორედ საკუთარ გუნდს თვლის. ფედერაციის მიერ დასჯილ ლუიშ ფიგუს კი კბილებით იცავს და მსაჯების მისამართით მწარე სიტყვებს ისვრის. „რეალის“ მწვრთნელს მადრიდული „ასის“ კორესპონდენტმა მიაკითხა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— პრემერადივიზიონის ჩემპიონად გახდომის თქვენეულ საიდუმლოს თუ გაგვიმხელთ...

— „ბარსელონასთან“ საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, უბრალოდ, არ გაგვიმართლა. თუ ასე გავაგრძელებთ თამაშს, დარწმუნებული ვარ, დანარჩენ გუნდებზე მეტი შანსი გვექნება.

— ფეხბურთელთა განწყობა როგორია?

— თუ ერთად ვიქნებით, გუნდური პრინციპით ვიმოქმედებთ და საერთოდ, მადრიდის „რეალის“ შესაფერისად მოვიქცევით, წესით და რიგით, სეზონის ბოლოს ჩემპიონობა უნდა აღვნიშნოთ. პრიმერას მოსაგებად ვარსკვლავებზე და სათადარიგოებზე ცალ-ცალკე მსჯელობა ზიანს თუ მოგვიტანს — ახლა შეკრული, ერთიანი გუნდი გვჭირდება.„რეალის“ ფეხბურთელები საამისოდ არიან განწყობილნი.

— ლუიშ ფიგუ მომდევნო ტურში „დეპორტივოსთან“ „რიასორზე“ არ ითამაშებს. სამართლიანია ფედერაციის გადაწყვეტილება?

— ცხრა თვეა, ესპანეთში ვმუშაობ და დამეთანხმებით, რომ არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი, მაგრამ როცა საქმე სიმართლისა და ჩემი ფეხბურთელის დაცვას ეხება, უკან არაფერზე დავიხევ. ფედერაცია თუ ფიგუპუიოლის ეპიზოდს ობიექტურად გაარჩევს, ლუიში არ უნდა დასაჯოს.

— რატომ?

— იმ ეპიზოდში ფიგუმ ბურთზე ითამაშა, არც უფიქრია მეტოქის დაშავება. მას მეორე ყვითელი ბარათი აუცილებლად უნდა აპატიონ. ლუიშს დანაშაული არ ჩაუდენია.

— „ელ კლასიკოს“ მსაჯობით ძალიან უკმაყოფილო ჩანხართ...

— კამათს და წუწუნს ახლა რაღა აზრი აქვს, თუმცა ჩვენ პერეს ბურულმა 5 ყვითელი ბარათი მოგვცა და იმათ არც ერთი. მიკერძოებულ მსაჯობაზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ერთი კი უნდა ვთქვა, რომელიმე გუნდის დაჩაგვრა უნამუსობაა და მეტი არაფერი.

— „რეალ“— „ვალენსიას“ შეხვედრასაც გვარიანი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, ოღონდ მაშინ ვალენსიელთა დაჩაგვრაზე ალაპარაკდნენ.

— სწორედ ამის შემდეგ მოექცნენ მსაჯები ძლიერი წნეხის ქვეშ და ეს სამეფო გუნდს მნიშვნელოვანი თამაშების დათმობად უხდება. ასე არ შეიძლება, ფედერაციის თავკაცებმა რაღაც უნდა იღონონ...

— წლევანდელ სეზონს როგორ შეაფასებდით?

— დადებითად. „რეალის“ მეორე ადგილი ჩვენს სისუსტეს კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ესპანური ლიგა მსოფლიოში საუკეთესოა. წინა სეზონში პრიმერა 78 ქულით მოვიგეთ, ახლა 70 გვაქვს და 12-ის მოპოვება კიდევ შეგვიძლია. გულშემატკივარს ჩემპიონობას მომდევნო ტურში არა, მაგრამ საერთოდ კი შევპირდები.

— თუმც იგივე გულშემატკივარი რამდენიმე ხნის წინ თქვენგან მხოლოდ პრიმერას ლიდერობას არ ელოდა...

— „უძლეველისა“ და „გალაქტიკურის“ იმიჯი ჩვენ არ შეგვიქმნია, ეს უფრო ჟურნალისტების დამსახურებაა... თავიდან ყველა აღტაცებული გაიძახოდა, „რეალი“ გოლიათია, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ხალხს პატარა დავითის დიდ გოლიათზე გამარჯვება უფრო ეხალისება. პოპულარობამ დათვური სამსახურიც გაგვიწია — ბევრი ვიცი, ვინც ადრე „რეალის“ გამარჯვებაზე ლოცულობდა, ახლა მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა.

შეყვარებული ხავი რონალდინიომ დაამუნჯა

მადრიდის „რეალის“ კარში პატრიკ კლუივერტის გატანილ პირველ გოლს „ელ კლასიკოს“ დასრულებამდე 7 წუთით ადრე ხავიმ მეორე მიაყოლა და „ბარსას“ გამარჯვება მოუტანა. ბარსელონურმა „სპორტმა“ ხავისთან ინტერვიუ სწორედ ამ გოლზე საუბრით დაიწყო

— სეზონის უმნიშვნელოვანესი გოლის გატანის შემდეგ რა განიცადეთ?

— უზომო სიხარული. საქმე ისაა, რომ „ბარსაზე“ შეყვარებული ისეთი კაცისთვის, როგორიც მე ვარ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბურთის გატანა ოცნების ზღვარია.

— საამსეზონო პრიმერას მოგებაზე ისევ ფიქრობთ?

— ვიცით, რომ ეს ძნელი საქმეა, მაგრამ არა შეუძლებელი. ვნახოთ, რა მოხდება. თუმც გეტყვით, რომ თუ ჩემპიონები ვერ გავხდით, ეს სურვილისა და მონდომების უქონლობის ბრალი არ იქნება.

— კატალონიელი ინჩასებს პრესტიჟული ჯილდოები ენატრებათ...

— მართალს ამბობთ. ქომაგს გამარჯვება უნდა. პრატის აეროპორტში მადრიდის მჯობნელ „ბარსელონას“ საოცარი დახვედრა მოგვიწყვეს, რის გამოც ძალიან ვამაყობთ.

— ოთხი თვის წინ „ბარსა“ ცხრილში მეთერთმეტე იყო. იქნებ აგვიხსნათ, პრიმერას მეორე წრე პირველისგან ასე რატომ განსხვავდება?

— ჩვენი გუნდისთვის შესაფერისი სათამაშო სისტემა გამოვნახეთ და ყველამ კარგად გაითავისა, სად და როგორ უნდა იმოქმედოს. ჩვენი წარმატების სხვა საიდუმლო არ არსებობს...

— „კამპ ნოუზე“ ედგარ დავიდსის მოსვლა „ბარსელონასთვის“ მომგებიანი აღმოჩნდა?

— ედგარის წყალობით მოედანზე ფიზიკურად და ტექნიკურად ძლიერ მოთამაშეთა შორის საჭირო წონასწორობა დამყარდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.

— და რონალდინიო?

— რონის შეფასებას მთხოვთ? გაუჩო გენიალური ფეხბურთელია, რომელზეც საუბარსაც ცალკე ინტერვიუ სჭირდება.

— თქვენს საამსეზონო წარმატებებში ფრანკ რაიკარდს დიდი დამსახურება მიუძღვის?

— ძალიან დიდი. სწორედ მწვრთნელის დამსახურებაა „ბარსა“ დღევანდელ სისტემას, ანუ 4-3-3-ს რომ მოერგო. ახლა არც თავდასხმაში გვაქვს პრობლემები და მინდვრის ცენტრშიც მოწინააღმდეგესთან შედარებით თითქმის ყოველთვის უპირატესობას ვაღწევთ.

— ორ მაისს კატალონიური დერბია, „ბარსა — ესპანიოლი“...

— „კამპ ნოუზე“ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ბოლო წლებში „ესპანიოლს“ ჩვენთან თამაში აშკარად უჭირს, მაგრამ რახან დერბია, მეტოქისგან მაინც დიდ წინააღმდეგობას ველოდებით.

— „ესპანიოლი“ პრიმერაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, „ბარსას“ კი უფრო დიდი მიზანი ამოძრავებს — ჩემპიონობასთან საკმაოდ ახლოსაა...

— რაც მოგვეთხოვება, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ქომაგებს საჩემპიონო ოცნებები ერთი ტურით მაინც შევუნარჩუნოთ. „ესპანიოლთან“ „ბარსელონას“ ქულათა მნიშვნელოვანი მარაგი აშორებს, თუმცა ეს უპირატესობა საქმით, ანუ კარგი თამაშით უნდა დავამტკიცოთ.



აფრიკაში 2003 წელია

ხვალ იაუნდეში, ეს კამერუნის ქალაქია, აფრიკის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებენ.

აფრიკის ფეხბურთის ასოციაციას ამ საქმის კეთება ცოტა არ იყოს, შეაგვიანდა, თუმც ეს მნიშვნელოვანი არ არის, უფრო საინტერესო იმ ფეხბურთელთა გვარებია, წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოსთვის რომ იბრძვიან.

ასოციაციამ უკვე დაასახელა სამი ფეხბურთელი, რომელთაგან ერთს ხვალ საუკეთესოდ ცნობენ. ესენი არიან კამერუნელი სამუელ ეტოო, კოტდივუარელი დიდიე დროგბა და ნიგერიელი ჯეი-ჯეი ოკოჩა.

ეტოოს მთავარ დამსახურებად შარშან კონფედერაციის თასზე ბრწყინვალე თამაშს უთვლიან. გულშემატკივრებს ვინძლო, დღესაც ახსოვთ ეტოოს დიდებული გოლი ბრაზილიელთა კარში, თუმც ის ტურნირი მახსოვრობას უპირველესად მარკ-ვივიენ ფოეს დაღუპვით შემორჩა. ეტოოს დამსახურებათა ნუსხაშია შარშანდელი ესპანეთის თასის ფინალში „უელვას“ კარში გატანილი ორი გოლი, რომლებმაც „მალიორკას“ თასი მოაგებინა.

ფავორიტთა შორის საკლუბო გოლების გამო მოხვდა დიდიე დროგბა, რომლის ნაკრებიც წლევანდელ აფრიკის თასზე საერთოდ ვერ მოხვდა. სამაგიეროდ, დროგბამ 2003 წელს 26 გოლი გაიტანა, საფრანგეთის ჩემპიონატში — 17 გოლი „გინგამში“ თამაშისას, ცხრა კი „მარსელში“ გადასვლის შემდეგ.

ჯეი-ჯეი ოკოჩა კი ნახსენებ აფრიკი თასზე საუკეთესო ფეხბურთელად სცნეს.

კოტე კეკელია

ჟოზე მაურინიუ ჩელსის მოირგებს
პორტუმ მწვრთნელი აბრამოვიჩს დაუთმო





კლაუდიო რანიერის ჟოზე მაურინიუ შეცვლის — ასე ინება რომან აბრამოვიჩმა

ჟოზე მაურინიუს თავისი თანაშემწეებისთვის უთქვამს, რომ სულ მალე „ჩელსის“ მენეჯერი გავხდებიო. მოკლედ, 41 წლის მაურინიუ ყაბულსაა წელიწადში 5 მილიონი გირვანქა მიიღოს და ზაფხულიდან კლაუდიო რანიერის ადგილი დაიჭიროს.

მაურინიუ აპირებს, რომ ინგლისში იახლოს „პორტუში“ თავისი მარჯვენა ხელი ბალტემარ ბროტო და მეკარეთა მწვრთნელი სილვინიო ლოურო.

„პორტუ“ ბედს შეგუებია და მადრიდის „რეალის“ თავკაც კარლუშ კეირუშისთვის შეუთავაზებია მაურინიუს ადგილი. კლუბის პრეზიდენტ პინტუდა კოშტას უთქვამს, რომ ხელს არ შეუშლის მაურინიუს, თუკი 2-მილიონგირვანქიან კომპენსაციას მიიღებს.

კლუბები შეთანხმებულან, რომ ამ ამბავს ოფიციალურად ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ გამოაცხადებენ, სადაც, შესაძლოა, სწორედ „პორტუ“ და „ჩელსი“ შეხვდნენ ერთმანეთს.

კეირუშის მაურინიუთი შეცვლა „რეალს“ თავადაც სდომებია, ოღონდ ახლა „ლაციოს“ მწვრთნელ რობერტო მანჩინიზე უფრო ფიქრობს.

ირაკლი გამყრელიძე

ორწლიანი ბარტეზობა მარსელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბიენ ბარტეზმა „მარსელთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი ფრანგულ გუნდში „მანჩესტერიდან“ გასულ იანვარს იჯარი წესით გადავიდა. ახლა კი მარსელელებმა მეკარე გამოისყიდეს და დაიტოვეს.

კლუბის პრეზიდენტმა კრისტოფ ბუშემ თქვა: „ეს გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ, რადგან მანჩესტერელებთან მცირე პრობლემები გვქონდა მოსაგვარებელი. ჩვენთვის ბარტეზი ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ გვსურს, გუნდში ბევრ მაღალი კლასის ფეხბურთელს მოვუყაროთ თავი. მომავალი სეზონისთვის მზადებას აქედანვე ვიწყებთ. „მარსელმა“ ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს. ფაბიენმა განვლილ სამ თვეში დაამტკიცა, რომ ქვეყნის საუკეთესო მეკარეა, თანაგუნდელები კი ძალიან აფასებენ. ამიტომ აღარ გავუშვით და დარჩენაზე დავითანხმეთ“.

ბარტეზს „მარსელში“ 1992-95 წლებშიც უთამაშია, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „მონაკოდან“ 2000 წლის ივნისში შეიძინა.

მაჟა ხუციშვილი

ფერგის ანკესი
როი კინს შემცვლელი სჭირდება



სტივენ ჯერარდი



ალექს ფერგიუსონი

სერ ალექს ფერგიუსონი მზადაა, 20 მილიონი გირვანქა გადაუხადოს „ლივერპულს“ და ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი „მანჩესტერში“ წაიყვანოს.

ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც არსენ ვენგერმა გამოაცხადა, ჯერარდი „არსენალისთვის“ მინდაო.

„ლივერპულს“ ჯერ არაფერი უთქვამს ჯერარდის გასხვისებაზე, მაგრამ თუკი იტყვის, ფერგი აუცილებლად გამოიყენებს „მანჩესტერის“ ფინანსურ უპირატესობას.

სერ ალექსი ამ ფეხბურთელის დიდი თაყვანისმცემელია და დასამალიც აღარაა, რომ კაპიტან როი კინის სერიოზულ შემცვლელს ეძებს. ამით, „არსენალიც“ განიარაღდება, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლივერპულელთათვის „მანჩესტერი“ ყველაზე საძულველი გუნდია და იქაური ფანობა არასოდეს აპატიებს 23 წლის ფეხბურთელს „ოლდ ტრეფორდზე“ გადასვლას. თუმცა, ფერგის ეს არ შეაჩერებს.

ექვსი წელია, 23 წლის ჯერარდი „ლივერპულის“ ძირითადში თამაშობს და მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზეც ნაკრების ერთ-ერთი მთავარი იმედია.

ირაკლი გამყრელიძე

რას ბოდავს ეს კაცი?!
ბლატერი საქვეყნოდ გამოაჯენეს



ევროპულმა პრესამ ფიფას პრეზიდენტის ახალ იდეას დასცინა. შეგახსენებთ, რა თქვა იოზეფ ბლატერმა: „ფეხბურთს ფრე არ სჭირდება. ნებისმიერი ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ პენალტები უნდა დაინიშნოს და გამარჯვებული გამოვლინდეს“.

გერმანულმა „ბილდმა“ პირველ გვერდზე ბლატერის სურათს მიაწერა: „ორი ძლიერი გუნდის მატჩი ფრედ თუ დამთავრდა, ეს ცუდია? პრეზიდენტი წითელ ბარათს იმსახურებს“.

ბრიტანული „დეილი მეილი“: „ეს კარგად მოფიქრებული რევოლუციური იდეაა თუ კაბინეტში ძალიან დიდი ხნის გამოკეტილი კაცის ნაბოდვარი? ეს არის ქაოსის შეტანის ბრწყინვალე მცდელობა“.

არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა და იმავდროულად ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ განაცხადა: „ბლატერი ბოლოჟამს ხშირ-ხშირად მართავს პრესკონფერენციებს, მაგრამ საინტერესოს არაფერს ამბობს. ასე ყბედობით ფეხბურთს ვერ გავაუმჯობესებთ. ვფიქრობ, იოზეფ ბლატერი ერთგვარ ეიფორიაშია და ახალი იდეაც ამიტომ ეწვია“.

ევროპულმა მედიამ ისიც გაიხსენა, რომ ფიფას პრეზიდენტი ადრეც გამოსულა ნოვატორული წინადადებით. მას მუნდიალის ორ წელიწადში ერთხელ გამართვა, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვის 32-დან 36-მდე გაზრდა და მატჩის ოთხ ტაიმად დაყოფაც სურდა.

ვაჟა ხუციშვილი



ჰოლანდიური ლულა ლონდონში

ლონდონის „არსენალმა“ „ფეიენოორდის“ ფეხბურთელი რობინ ვან პერსი გადაიბირა. 20 წლის ნახევარმცველის წაყვანა „მეთოფეებს“ ზამთარშივე სურდათ, მაგრამ მაშინ მხარეები ვერ მორიგდნენ. ამჯერად გარიგება შედგა და ვან პერსი ოთხი წლით არსენალელი გახდა. მისი ყოველწლიური ჯამაგირი სავარაუდოდ, 3 მილიონი ევრო იქნება.

ჰოლანდიელი 14 წლის იყო, როტერდამის „ფეიენოორდში“ რომ გადავიდა. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად თამაშობს და 2002-ში უეფას თასიც მოიგო. გუნდში სულ 77 მატჩი და 14 გოლი დაუგროვდა. ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ იგი წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარა.

არსენ ვენგერმა შენაძენი ასე შეაფასა: „რობინი ძალიან ნიჭიერია. შესანიშნავად თამაშობს ფლანგზე. ფორვარდობაც შეუძლია, კარგი პასი და მოედნის ხედვის განსაკუთრებული უნარი აქვს“.

თავად ვან პერსიც არანაკლებ გახარებულია: „არსენალის“ დონის გუნდში გადასვლით ჩემი ოცნება ახდა. მათ ხომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ, რაც ამ სეზონშიც დაამტკიცეს“.

კონტრაქტი ოფიციალურად 17 მაისს, სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე გაფორმდება და ნახევარმცველი „მეთოფეებს“ ივნისში ჩააკითხავს.

არსენ ვენგერს ხოსე ანტონიო რეიესი და რობინ ვან პერსი პირესისა და ბერხკამპის შემცვლელად შეუგულებია. დენის ბერხკამპი, ნვანკო კანუ და სილვენ ვილტორდი სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს გუნდიდან წავლენ, პირესი კი უკვე 30 წლისაა და მის ადგილს მალე შევსება დასჭირდება.

ვაჟა ხუციშვილი

...და ან ცაზე ვარსკვლავები

უგო სანჩესი

როჟიო სტომატოლოგი

ეკტორ სანჩესის და ისაბელ მარკესის მეოთხე შვილს უგო ერქვა. ისაბელი თავის დროზე ფრენბურთს თამაშობდა, ეკტორი კი ფეხბურთს, თან იმდენად სერიოზულად, რომ მაშინდელი სუპერვარსკვლავის, ორასიო კასარინის შემცვლელად ითვლებოდა. სხვა საქმეა, რომ იმხანად მექსიკაში ფეხბურთელს კიდევ რამე საქმე უნდა ენახა, თორემ ოჯახს ვერ შეინახავდა.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ სპორტულ ოჯახში ექვსივე შვილის სახელი H-ზე იწყებოდა (ოღონდ ეს „ჰ" ესპანური სიტყვების დასაწყისში არ იკითხება) — ეკტორი, ორასიო, ილდა, უგო, ერლინდა და აიდე — და ხუთმა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში დიდ თუ მცირე წარმატებას მიაღწია

ილდა ფრენბურთს თამაშობდა და ბოლოს მწვრთნელს გაჰყვა ცოლად. დღეს ორი კერძო სკოლის მფლობელია.

ერლინდა ტანვარჯიშში მექსიკის ჩემპიონი იყო, მონრეალის ოლიმპიადაზე გამოვიდა.

ეკტორი 1973-78 წლებში „უნამის" ნახევარმცველი გახლდათ, მერე მწვრთნელობას მიჰყო ხელი და დღეს ტიხუანის ცნობილ საფეხბურთო სკოლაში ბავშვებს ზრდის.

ორასიო იმავე „უნამის" და შემდეგ „პუებლას" კარში იდგა. 1972 წელს ოლიმპიადაზე გამოვიდა, ნაკრების კარს იცავდა.

„მეხიკოს უბანს, რომელშიც ჩვენც ვცხოვრობდით, ბალბუენა ჰქვია — იგონებს სანჩესთაგან ყველაზე გამოჩენილი და ჩვენი დღევანდელი წერილის გმირი უგო — ბალბუენაში უამრავი საფეხბურთო მოედანია, რომლებსაც მამა ხშირად სტუმრობდა და ჩვენც თან დავყავდით".

უგომ „უნამის" იუნიორების გუნდიდან დაიწყო. 15 წლისამ კანის ტრადიციულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მექსიკის ყმაწვილთა ნაკრებში, მარცხენა თავდამსხმელად დაიბევა ადგილი. ამ ნაკრებმა ორ წელიწადში რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოიგო, 19 წაუგებელი თამაში ჩაატარა და 1976 წლის ოლიმპიური ნაკრების საბაზისო გუნდადაც იქცა.

მთავარი ვარსკვლავი უგო სანჩესი გახლდათ, ფეხბურთელი, რომელმაც ოლიმპიადაზე იმედები ვერ გაამართლა. გაწბილდა მთლიანად ნაკრებიც, რომელსაც ტურნირის შემდეგ მწვრთნელი გამოუცვალეს, თავში ხსენებული ორასიო კასარინი ჩაუყენეს. ეს ის პერიოდია, როდესაც ჟოაო აველანჟი მსოფლიო ფეხბურთის დიდ რეფორმას იწყებს და 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატს იგონებს თავისი შესარჩევი ტურნირებით. ორასიო კასარინის დარიგებული ჭაბუკი მექსიკელები შესარჩევში მარჯვნივ და მარცხნივ ყველას ანადგურებენ, ბურთების სხვაობა 34:4 მოიწყეს და მთელ ამ ფოიერვერკში მთავარი როლი უგო სანჩესმა ითამაშა, მაგრამ საკუთრივ ჩემპიონატზე აღარ წაყვა გუნდს. მიზეზი ორი იყო: პროფესიული კონტრაქტი „უნამთან" და მისაღები გამოცდები სამედიცინოზე, სტომატოლოგიურზე.

შემდეგ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ბევრჯერ წაგვიკითხავს და მოგვისმენია: „უნამის" ძირითადში გზის გაკაფვას ერთი სეზონი დასჭირდა, მეორე სეზონიდან უგო უკვე ძირითადის წევრი იყო, ხოლო მესამე სეზონში მექსიკის საუკეთესო თანაბომბარდირი გახდა.

1978 წლის ზაფხულში 19 წლის უგო არგენტინაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვიდა. იქ მექსიკის ნაკრებმა საშინლად ძველმოდური, ზანტი ფეხბურთი ითამაშა და, ცხადია, შეჯიბრებას გამოეთიშა, მაგრამ თავად სანჩესმა ყურადღება მიიპყრო. ის იყო ბუმბულივით მსუბუქი აკრობატი, რომელიც ბურთს ყველა პოზიციიდან არტყამდა. უგო სანჩესი იმავდროულად გამოირჩეოდა ტექნიკით და გონიერებით, ყველაზე უცნაური კი მისი საოცრად მაღალი ნახტომები გახლდათ.

ვისაც ჩვენი წერილის გმირის თამაში არ ახსოვს, იქნებ ასეთი აღწერით მაინც წარმოიდგინოს ადამიანი, რომლისთვისაც ფეხბურთი უმალ ჰობი იყო, ვიდრე პროფესია.

დამატებით ფულს იცით, როგორ შოულობდა? ზაფხულობით, როდესაც მექსიკურ ფეხბურთში არდადეგები დგებოდა, ის ამერიკაში გადადიოდა და „სან დიეგოში" თამაშობდა.

შემდეგ კი ჰორიზონტზე ევროპა გამოჩნდა. ოღონდ, მადრიდის „ატლეტიკომ" უგო სანჩესის ყიდვის ამბავი რომ გამოაცხადა, ესპანურმა პრესამ მხრები აიჩეჩა. იქაურ ფეხბურთში მექსიკელს მთელი ათწლეულების განმავლობაში ფეხიც არ დაედგა. ის კი არა, კლუბის პრეზიდენტის, კაბესას ახირებას საკუთრივ „ატლეტიკოს" მწვრთნელებიც კი ეჭვით შეხვდნენ.

სანჩესს დიდძალი ოფლისღვრა მოუხდა. მექსიკელი ესპანელებს ყოველ ცისმარე დღეს, ყოველ ვარჯიშზე უმტკიცებდა, რომ ძირითადი შემადგენლობის ღირსი იყო და ბოლოს დაუმტკიცა, ოღონდ საამისოდ ჯამბაზური გოლების გატანის უნარი გამოიყენა მოხერხებულად.

„ატლეტიკოში" სანჩესმა 1981-1985 წლებში ითამაშა და ყოველ მორიგ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობას ზრდიდა, ხოლო 85-ში ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა. ჯამში მან 111 მატჩში 54 გოლი შეაგდო, რაც იმასთან შედარებით, რაც მერე „რეალის" მაისურით ჩაიდინა, ბავშვობა გამოდგა.

„რეალი" შეტევაზე აკეთებდა აქცენტს, „ატლეტიკოსთან" შედარებაც არ შეიძლებოდა. „სამეფო გუნდში" მხოლოდ პირველი ხუთი წლის განმავლობაში უგო სანჩესმა 150 გოლი გაიტანა.

და ყოველი გოლის შემდეგ მალაყს აკეთებდა.

ევროპაში სანჩესს ადიდებდნენ. მექსიკაში „რეალის" ყოველი თამაში ტელევიზიით გადაიცემოდა. მექსიკელებს კი ერთი რამ აინტერესებდათ: სად არის მიღწევები ნაკრებში? სამივე მუნდიალი, რომელშიც უგომ ითამაშა სრულად უსახურად, არაფრით დამთავრდა.

პლუს, 1986 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი არც მეტი, არც ნაკლები, მექსიკაში გაიმართა, მაგრამ... სანჩესის მონაგარი ერთადერთი გოლი და სამი ყვითელი ბარათი იყო.

1994 წელს კი უგო სანჩესი ამერიკას უფრო ტურისტის რანგში ეწვია. მხოლოდ ერთხელ ათამაშეს.

1992 წელს ჩვენი წერილის გმირი „რეალს" დაემშვიდობა და მექსიკაში დაბრუნდა, „ამერიკაში" მოეწყო. „ამერიკაში" სანჩესს დახვდა ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველი ფალკაო, რომელთანაც მსუბუქად რომ ვთქვათ, საერთო ენა ვერ გამონახა და ეს ყველაფერი გუნდიდან ფალკაოს გაშვებით დამთავრდა.

1993-ში უგომ სრულიად მოულოდნელად დაადო თავი და ესპანეთში, „რაიო ვალეკანოში" დაბრუნდა. მერეღა დაბრუნდა და მეტი არაფერი? ასე, ერთიმეორის მიყოლებით სანჩესს გოლები ლამის საუკეთესო წლებში არ „დაუშტამპავს". სხვა ამბავია, რომ კლუბის პრეზიდენტს ეჩხუბა და ყველაფერი მიაგდო.

მერე იყო ისევ სამშობლო, „ატლანტე" და ისევ ევროპა, „ლინცი". 1996 წლის მეორე ნახევრიდან სანჩესი ამერიკაში წავიდა, მაგრამ...

1998 წლის 18 მარტს უგო სანჩესის გამოსათხოვარი მატჩის ხათრით მეხიკოში „აცტეკა" შეივსო. ყველა ელოდა, რომ სანჩესი მთელ მატჩს, მექსიკა-პარაგვაის ითამაშებდა, მაგრამ მან თავი ჯანზე ვერ იგრძნო და ბურთი ცენტრში გააგორა თუ არა, გავიდა.

დღეს უგო სანჩესი მეორე ცოლთან, ისაბელთან ერთად მადრიდში ცხოვრობს. ტელეკომენტატორად ვერ ივარგა, იმიტომ, რომ ყველაფერზე პირდაპირ ლაპარაკობს, როყიოა მოკლედ.

პირველი ცოლი — ბავშვობისდროინდელი მწვრთნელის, ადოლფო პორტუგალის ქალიშვილი — მეხიკოში ორ შვილს უზრდის.

პაპუნა კედია



უგო სანჩესის ცნობილი მალაყი

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. კონფერენსი. ფლეი-ოფი						
		29 აპრილი						
23.45	117	ალდერშოტი-ჰერეფორდი	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
23.45	118	ბარნეტი-შრიუსბერი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
		ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXVI ტური						
		29 აპრილი						
23.00	286	გრააფსხაპი-კამბური	1,15	5,3	11,0	1	1,04	3,57
23.00	287	ემენი-ვენლო	2,05	3,3	3,1	1,26	1,23	1,59
23.00	288	დორდრეხტი-აპელდორნი	2,45	3,3	2,4	1,4	1,21	1,38
23.00	290	იგლსი-ტელსტარი	1,6	3,6	4,6	1,1	1,18	2,01
23.00	291	მაასტრიხტი-ვეენდამი	2,1	3,3	3,0	1,28	1,23	1,57
23.00	292	ჰაარლემი-ეინდჰოვენი	1,8	3,4	3,5	1,17	1,18	1,72
23.00	293	სპარტა-ექსელსიორი	2,2	3,3	2,7	1,32	1,21	1,48

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ბრაზილია						
		სერია A. III ტური						
		29 აპრილი						
04.30	518	პალმეირასი-ვიტორია	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
04.30	519	პარანა-ფლამენგო	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
04.30	520	ვასკუ და გამა-ეუარანი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
		ლიბერტადორესის თასი						
		29 აპრილი						
04.00	619	ბარსელონა-მარაკაიბო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
		კალათბურთი. ევროლიგა						
		29 აპრილი						
21.10	1241	სიენა-სკიპერი	1,7	10,0	1,9	1,45	1	1,59
23.40	1242	მაკაბი-ცსკა	1,55	10,0	2,1	1,34	1	1,73

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲕᲘᲜᲡᲝᲜᲘ

შვიდი მწვერვალის პროგრამით მოლაშქრე მთამსვლელებმა, დედამიწაზე აუსვლელი სიმაღლე რომ აღარ დარჩათ, ბოლოს მზერა ყინულოვან კონტინენტს მიაპყრეს. თუმცა, სამხრეთ პოლუსის უმაღლესი პიკი ვინსონი (5140მ) მანამ დალაშქრეს, სანამ ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალთა კოლექციონერობას განიზრახავდნენ. ეს მოხდა 1966 წელს, მაგრამ ვიდრე ამ ლაშქრობაზე ვიტყოდეთ, ჯერ თავად ვინსონი გავიცნოთ.

ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალს ადგილობრივი მკვიდრნი უხსოვარი დროიდან იცნობენ. გამონაკლისი მხოლოდ ვინსონია, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი, თუ პინგვინებსა და სელაპებს არ ჩავთვლით, უბრალოდ არა ჰყავს. და ეს პინგვინები და სელაპებიც ვინსონის მისადგომებთან კი არა, მისგან საკმაოდ დაშორებით, სამხრეთ პოლუსის სანაპიროებთან ბინადრობენ. ამიტომაც ვინსონზე ასასვლელად კაცს ნებართვა არ გჭირდება, რადგან ის ამა თუ იმ ქვეყნის კუთვნილება არ არის. თუმცა, ანტარქტიდის ცალკეულ ტერიტორიებზე პრეტენზიები აქვთ არგენტინას, ავსტრალიას, ავსტრიას, ახალ ზელანდიას, ბრაზილიას, დიდ ბრიტანეთს, რუსეთსა და ჩილეს.

ანტარქტიდაზე არც რეგულარული ავიარეისებია და არც საზღვაო, თუმცა, სხვადასხვა ქვეყნები ხშირად აგზავნიან სამეცნიერო ექსპედიციებს, რომლებიც იქ მოზამთრეებს ენაცვლებიან. ამიტომაც, ვინსონზე ასვლის მსურველთათვის პირველი პრობლემა ანტარქტიდაში მოხვედრა და მწვერვალის ძირამდე მიღწევაა. უსახსრობას რა ვუთხრათ, თორემ მწვერვალის ძირამდე მიღწევის პრობლემა კაცის წინაშე აუღებელი ბასტიონივით არ აღიმართებოდა, სახსრიანები კი, რომლებიც 25 000 დოლარს არ დაიშურებენ, იქამდე ჩილედან სპეციალური თვითმფრინავით მიფრინავენ. იქ მიფრენილთ ყველა მწვერვალისგან განსხვავებული პირობები ხვდებათ. უპირველეს ყოვლისა, ესაა საშინელი ყინვა, რომელიც ზაფხულშიც კი საშუალოდ 30-50, ზამთრობით კი 60-70 გრადუსამდე ეშვება.

სამხრეთ პოლუსზე უარესი ყინვაც აღუნუსხავთ, როცა ტემპერატურა 90 გრადუსამდე დაშვებულა, თუმცა, თუ ბედმა გაგიღიმათ, იქნებ იქაური ზაფხულის ყველაზე თბილ დღეს, 20-გრადუსიან ყინვაში მოგიწიოთ ლაშქრობამ.

თითქმის მთელი მატერიკი ყინულითაა დაფარული, რომლის სისქე ზოგან 4300 მეტრამდეც კი აღწევს. ამიტომაც, ყინულის სიმძიმის გამო დედამიწა მის გარემომცველ ზღვებში ჩაძირულა, თუმცა ამ კონტინენტის საშუალო სიმაღლე — 2040 მეტრი, მაინც ყველა სხვას აღემატება.

ყინულისგან თავისუფალი ადგილი იქ იმდენად მცირეა, სულ რაღაც 0,2-0,3 პროცენტი, რომ სათვალავში ჩასაგდები არცაა, მით უმეტეს, რომ ხმელეთი მხოლოდ ზოგიერთ სანაპირო ზოლზეა.

— როდესაც ანტარქტიდის თავზე მივფრინავდით, ილუმინატორიდან ქვემოთ ვხედავდით მხოლოდ და მხოლოდ ჩვენივე თვითმფრინავის ჩრდილს, ან უთვალავ ნაპრალს, რომლებსაც უსასრულო ყინულოვანი ველი დაეხეთქა — ასე გვიზიარებენ ანტარქტიდაზე გადამფრენნი თავიანთ შთაბეჭდილებებს — ამ თეთრ ყინულოვან უდაბნოში არავითარი სხვა ორიენტირი არ იყო. მხოლოდ დამაბრმავებლად ელვარე მზე გვიჩვენებდა ჰორიზონტს, ხოლო თვითმფრინავის ჩრდილი ჩვენს მოძრაობას გვახვედრებდა...

ყოველივე ამის გამო ამბობენ, მთელი მსოფლიოს სიცივის პოლუსი ანტარქტიდაზეაო. აქვეა აღნუსხული მთელს დედამიწაზე ყველაზე ძლიერი ქარები და მზის რადიაციაც, მაგრამ მანათობელის ენერგიას ყინული სარკესავით ირეკლავს და ისევ ატმოსფეროს უბრუნდება.

პოლარული მკვლევარნი ამბობენ, შეიძლება კაცმა აქ არაერთხელ გამოიზამთრო, მაგრამ მისი სიმკაცრე მაინც ბოლომდე ვერ გამოსცადოო. ამიტომაც არსებობს ასეთი გამოთქმა, თუ კაცს ქვეითად არ დაულაშქრავს იქაურობა, მას არც ანტარქტიდა უნახავსო.

სახელგანთქმული ინგლისელი მთამსვლელი კრის ბონინგტონი, რომელსაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალიც დალაშქრავს და სხვა მთებშიც არაერთხელ მოხვედრილა ექსტრემალურ სიტუაციებში, ყველაზე მწარედ ვინსონზე ასვლას იხსენებდა. ასეთ ჯოჯოხეთში ჯერ არ მოვხვედრილვარ. ეს ყველაფრის დასასრულიაო, ვინსონზე ლაშქრობისას გასძახა მან ერთ თავის მეწყვილე რიდ ჯოვის, რომელიც ასევე თავბედს იწყევლიდა იქ წასვლისთვის.

არადა, მათი ლაშქრობისას ქარის სიჩქარე საათში სულ რაღაც 100 კილომეტრი იყო, ხოლო ყინვა მხოლოდ და მხოლოდ 30 გრადუსი, რაც ანტარქტიდის კვალობაზე, როგორც ზემოთ ვნახეთ, არც ისეთი ჯოჯოხეთია.

ანტარქტიდაზე ნამდვილი ჯოჯოხეთი თუ ვინმემ გამოიარა, ისინი მისი პირველდაპყრობის ცდების მონაწილენი იყვნენ. პიონერები ანტარქტიდის დაპყრობას 1820 წლიდან ცდილობდნენ — მას მერე, რაც ეს ჯოჯოხეთი ბელინსჰაუზენმა და ლაზარევმა აღმოაჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ ანტარქტიდის დაპყრობის ცდებს ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო გადარჩენილებს იქიდან ერთმანეთზე საშინელი სათავგადასავლო ამბები ჩამოჰქონდათ, ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა.

ასე იყო თუ ისე, პოლუსს პირველმა, როგორც ცნობილია, რუალ ამუნდსენის ექსპედიციამ მიაღწია 1911 წელს. თუმცა, მაშინ ეს ბევრს ეეჭვებოდა, მაგრამ ერთი წლის მერე იქ მისულმა რობერტ სკოტმა ამუნდსენის კარვის ნარჩენები აღმოაჩინა და ამან ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

იმ დროს სამხრეთ პოლუსის დაპყრობა გაცილებით რთული იყო, ვიდრე დღეს მისი უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრაა, რადგან თანამედროვე საჭურველი, იმ გეოგრაფიულ აღმოჩენათა წლების დროინდელისგან ისე განსხვავდება, როგორც თავად ანტარქტიდა, ვთქვათ, საჰარის უდაბნოსგან

ᲐᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲫᲕᲘᲚᲘ
დასასრული იქნება

რუალ ამუნდსენი



თანამედროვე მთამსვლელთა ბანაკი

რობერტ სკოტი

თამაში სიამოვნებაა

ზაზამ თბილისში ზაზა დაუჯილდოვა



ბურთს დელეგაციის ფოტო

ეფე „მსოფლიო სპორტში" წლეულს მრავალი პრესკონფერენცია ჩატარდა, მაგრამ გუშინდელს სულ სხვა გემო და რეზონანსი ჰქონდა. თუ აქამდელი წინასამატჩო პრესკონფერენციები ალიაბალია 2-3 კითხვით შემოიფარგლებოდა, გუშინ ზაზა ფაჩულია ჟურნალისტებმა უმოწყალოდ „დაცხრილეს", მთის, ბარისა და, რა თქმა უნდა, „ორლანდოსი" გამოჰკითხეს და ზაზაც მოთმინებით პასუხობდა

... „ორლანდოში" წლეულს დიდი ცვლილებები მოხდება. ზოგი წავა, ზოგსაც გაუშვებენ. წამოსვლის წინ ველაპარაკე მთავარ მწვრთნელსაც და გენმენეჯერსაც — „ორლანდოს" ჩემი გაშვება არ უნდა. ერთს პლუს ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს. ჩემი გადასაწყვეტია, დავრჩები გუნდში თუ არა. „ორლანდო" ყველაზე უარესი ვარიანტია. თუ სხვა გუნდს ვერ მოვნახავ, რა გაეწყობა, ისევ ფლორიდაში დავრჩები. ჯერ არავინ გამოჩენილა, პლეი ოფი რომ დასრულდება, მერე დაიწყებენ მენეჯერები საქმიანობას. მარკ ფლეიშერი გარკვეულია საქმის ვითარებაში და ალბათ გამომინახავს კიდეც სასურველ ვარიანტს. „ორლანდოში" მთლად სკამზე არ ვიჯექი, მაგრამ მაინც სხვა გუნდში მინდა გადასვლა, სადაც მეტი სათამაშო დრო და უკეთესი კონტრაქტი მექნება.

... ნბა-ში თამაში ნიშნავს, რომ თავისუფალი დრო არ გაქვს. თუ თამაში არ გვქონდა, ვვარჯიშობდით, ხოლო როცა თავისუფალი ვიყავი, არც კინოთეატრები იყო ღია და არც მაღაზიები, მხოლოდ დისკოთეკები. ერთი-ორჯერ კი ვიყავი დისკოთეკაზე, მაგრამ ცეკვის თავი სად მქონდა.

... ნბა-ში ქართველებს კი გვიცნობენ, მაგრამ ხშირად ჯორჯიის შტატიდან ვგონივართ. „პორტლენდში", „დენვერსა" და „ორლანდოში" ყველამ იცის ჩვენი ქვეყნის შესახებ. ჩვენი ამერიკაში თამაშის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხომ ისაა, რომ საქართველო მსოფლიოს გავაცნოთ. ისე, როდესაც ვინმეს მაცნობენ, ორლანდოელები ასე ამბობენ: „ზაზა ჯორჯიიდან, ოღონდ არა ჯორჯიის შტატიდან".

... ყველაზე გამოცდილი სტეფანიაა, მე და ნიკა ცქიტიშვილი ახლა ვსწავლობთ ნბა-ში თამაშს. სამწუხაროა, რომ ნიკას არ უწევს ხშირად თამაში, მაგრამ მომავალი სეზონიდან ალბათ ყველაფერი გამოსწორდება. მას რომ პოტენცია არ ჰქონდეს, დრაფტზე მე-5 ნომრად ვინ აიყვანდა? სამივეს კარგი ურთიერთობა გვაქვს, ხშირად ვლაპარაკობთ ტელეფონით, ხოლო ჩვენი გუნდები ერთმანეთს რომ ხვდებიან, უმეტესად ერთად ვართ.

... თბილისში ორი კვირით ჩამოვედი, 10 მაისს ისევ ამერიკაში მივფრინავ. ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობამ უკვე გადმომცა ეროვნული ნაკრების სამოქმედო გეგმა, რომელსაც გავითვალისწინებ და ჩემს სამომავლო გეგმებს შევუხამებ. ახლა შვებულებაში ვარ, მაგრამ მალევე განვაახლებ ვარჯიშს. სანამ „ორლანდო" შეიკრიბება, პირადი მწვრთნელი მყავს აყვანილი და ის მავარჯიშებს. მან უკვე იცის საქართველოს ნაკრების შეკრების თარიღები, ასე რომ, პრობლემა არ იქნება.

... ისე, ნბა-ს ლეგიონერებს არ უხარიათ საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაში. ფანატიკურ ეტაპზე კი, მაგრამ შესარჩევში ნაკლები სიამოვნებს ეროვნულ გუნდში წასვლა, საკვალიფიკაციოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პაუ გასოლმა უარი თქვა ესპანეთის ნაკრებში თამაშზე, სხვა არაერთიც უარზეა. ამის მიზეზი ალბათ პირველ რიგში ტრავმის შიშია, თან ამხელა მანძილია გამოსავლელი. რაც შეგვეხება ჩვენ, ქართველებმა უკვე გადავწყვიტეთ, რომ ნაკრებში ვითამაშებთ. საქართველო არაა სხვა წამყვანი ქვეყნებივით განებივრებული და ნბა-ში მოთამაშეების დახმარება სჭირდება.

... წუხელ ნბა-მ ახალბედების ხუთეულები დაასახელა, თუმც, სამწუხაროდ, მასში მე ვერ მოვხვდი. არადა, სეზონი რომ დაიწყო, მიზნად სწორედ ახალბედების სიმბოლურ ხუთეულში მოხვედრა დავისახე, მაგრამ... წაგებული გუნდიდან იშვიათად თუ ვინმეს შეიყვანენ საუკეთესოთა კრებულში. „ორლანდომ" საშინლად ჩაატარა სეზონი და მისი კალათბურთელებიც ცოტას თუ აინტერესებს...

პრესკონფერენციის დასასრულს ფაჩულიამ კვეე „მსოფლიო სპორტს" „ორლანდოს" 27-ნომრიანი მაისურა უსახსოვრა და თან დაყოლა, გამოსაჩენ ადგილას დაკიდეთო. შემდეგ ივი ვერის ბაღში ზურაბ საკანდელიძის ტრაგიკულად დაღუპული შვილის, ზუკა საკანდელიძის სახელობის ტურნირის ფინალზე მიუდა და გამარჯვებული დაჯილდოვა. დამთხვევაც ასეთი უნდა: ტურნირი ფაჩულიას პირველი მწვრთნელის, ზურაბ სამხარაძის გუნდმა მოიგო, რომელიც ზაზას სახელს ატარებს...

ირაკლი პერტაია

ალაგ წითელ, ალაგ ჟვითელ, ალაგ სისხლისფერია...

თელ ავივს კიდევ არმია უნდოდა?!

ოთხი ფინალისტის ოთხი მწვრთნელი პინი გერშონი (მაკაბი), იასმინ რეპეშა (სკიპერი), კარლო რეკალკატი (სიენა) და დუშან ივკოვიჩი (ცსკა)

REUTERS თელ ავივიდან

დღეს საღამოს ებრაელთა მთავარქალაქი შფოთის საბურველს გადაიძრობს და რამდენიმე საათის იქ მხოლოდ ერთი რამ, კალათბურთი იარსებებს. დიახ, თელ ავივში, სადაც დენთის სუნი ტრიალებს და არ იცი, საიდან გამოგიხტება პალესტინელი კამიკაძე, ამ საღამოს ევროპის მთელი საკალათბურო ელიტა „ნოკია არენად" წოდებულ უზარმაზარ დარბაზში შეიკრიბება ევროლიგის ოთხთა ფინალის საყურებლად. ერთი ნახევარფინალი იტალიურია, ოღონდ „სიენა" — „სკიპერის" შერკინება ლიფსიტების კინკლაობად მოჩანს მეორე, რუსულ-ებრაულ წყვილთან შედარებით. „მაკაბისა" და ცსკა-ს ჯახი ფინალს უფრო დაამშვენებდა, მაგრამ როცა გაირკვა, რომ ოთხთა ფინალში ორი ერთი ქვეყნის გუნდი გავიდა, ისინი ავტომატურად ერთმანეთს დაეჯახნენ...

სიენა VS სკიპერი 21.30

სიენა, იტალია — ბოლონია, იტალია

ლიდერები: დევიდ ვანტერპული 13,7 ქულა, 4,5 მოხსნა, 3,5 პასი, 2,6 ჩაჭრა; მარვის ტორნტონი 13,1 ქულა; ვრბიცა სტეფანოვი 10,2 ქულა

ლიდერები: მილოშ ვუიანიჩი 16,2 ქულა; ჯანლუკა ბაზილე 12,7 ქულა; კარლოს დელფინო 11,9 ქულა, 6,1 მოხსნა; მატიაჟ სმოდიში 11,5 ქულა; ჰანო მოტოლა 10,9 ქულა

ციცქნა სიენის მაცხოვრებლებს სატრაბახო ნამდვილად აქვთ. მას შემდეგ, რაც დოქტორ ჯეიმზ ნეისმიტმა 1891 წელს კალათბურთი გამოიგონა, „სიენა" ყოფილა პირველი კლუბი, რომელსაც სპორტის ეს სახეობა აუტაცია იტალიაში.

სხვამხრივ სიენელებს სატრაბახო დიდი ხანი არაფერი ჰქონდათ. მათმა გუნდმა პირველი ტიტული (სპორტას თასი) 2001 წელს მოიგო. ამის შემდეგ დიდი ფული ჩაიდო ამ კლუბში და აგერ, ბატონო, „სიენა" მიჯრით მეორედ სტუმრობს ევროლიგის ოთხთა ფინალს.

ეს გუნდები ამ სეზონში ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — ორჯერ ევროლიგაში და ორჯერ იტალიის სერია A-ში. ორივეგან თითო-თითოჯერ იმარჯვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თელ ალივში ვერც ერთს დაავასახელებთ ფავორიტად.

იასმინ რეპეშა, „სკიპერის" მთავარი მწვრთნელი: „ორივე გუნდი კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ურთიერთშეხვედრების გამოცდილება საკმაოდ გვაქვს. ჩვენთვის ძალიან საამაყოა ოთხთა ფინალში თამაში და „სიენაზე" უკეთეს მეტოქეს ვერც ვისურვებდით. ასე რომ, უნდა ვიბრძოლოთ და ფინალში გავიდეთ."



„სკიპერის" ერთ-ერთი ლიდერი ჯანლუკა ბაზილე

მაკაბი VS ცსკა 23.30

თელ ავივი, ისრაელი — მოსკოვი, რუსეთი

ლიდერები: ნიკოლა ვუიჩიჩი 17,3 ქულა, 7,2 მოხსნა; შარუნას იასიკევიჩუსი 15,7 ქულა, 4,6 პასი; ენტონი პარკერი 15,1 ქულა; მასეო ბასტონი 12,5 ქულა, 8,1 მოხსნა

ლიდერები: მარკუს ბრაუნი 18,0 ქულა, 4,1 პასი; ჯეიარ ჰოლდენი 14,5 ქულა, 3,7 პასი; მირსად თუქრჯანი 10,1 ქულა, 10,7 მოხსნა

ამ გუნდების თამაშებს რომ უყურებ, ყველაფერს უნდა ელოდო. წლეულს ორივემ სასწაული მატჩები შემოატრიალა, ერთმანეთთან პირველი ჯგუფური ეტაპის შეხვედრებში ხომ მაყურებელმა საერთოდ საკალათბურო სპექტაკლი ნახა.

არმიელებმა ამ სეზონში უკვე მოიგეს თელ-ავივურ არენაზე. მაშინ ცსკა-მ უკანასკნელ 12 წუთში 19-ქულიანი ჩამორჩენა ამოუქაჩა ებრაელებს, თუმც „მაკაბიც" არ დარჩენილა ვალში და მოსკოვურ მატჩში ენტონი პარკერის მიერ ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანით იმარჯვა.

შემადგენლობას და საამსეზონო შედეგებს თუ გადავხედავთ უპირატესობა „წითლებისაა", თუმც ყველაზე მძლავრი თულფი „ყვითლებს" („მაკაბის" ფერია) უპყრიათ — ისინი შინაურ სარბიელზე თამაშობენ. მოდით, იმას ნუ ვიკითხავთ, თუ ვინაა ფავორიტი, როცა „მაკაბი" თელ ავივში თამაშობს.

და მაინც, არმიული უკანა ხაზი — მარკუს ბრაუნი და ჯეიარ ჰოლდენი უძლიერესია ლიგაში. თუმც არც წინა და უკანა რგოლების შემაკავშირებელი მირსად თურქჯანია რომელიმე ოპონენტზე სუსტი, ვიქტორ ალექსანდერის კაიცენტრობის ამბავი კი მთელს ევროლიგაშია გავარდნილი.

ამ ვარსკვლავებს „მაკაბი" არანაკლებ გრძნეულ შასუნას იასიკევიჩუსს დააჯახებს, ვისაც უკანა ხაზში ხელს ტალ ბურშტეინი წააშველებს. წინა ხაზში კი ებრაელებს ამერიკელი მასეო ბასტონისა და თავქარიანი სერბის ნიკოლა ვუიჩიჩის ეიმედებათ.

მაშ ასე, ამათი რკენა ალბათ ჩემპიონის ვინაობასაც გაარკვევს, რაკი ცსკა-მ თუ მასპინძელი ჩამოიშორა გზიდან, საეჭვოა, ტიტული „ვიღაც" იტალიელებს დაანებოს. იგივე შეიძლება ითქვას „მაკაბზეც"...

ირაკლი პერტაია

მეცხვარული ბალადა

ასე იყო, შვილოსან, ბლანკოს რომ ხელი ვტაცეთ...


მეცხვარე შემოჭედი ბრაიან ლოჰორი

ეს ამბავი დღემდე უნიკალურია მსოფლიო რაგბის მატიანეში. ამ მოვლენას ახალზელანდიელი ბავშვები და მამები დიდი სიამაყით უყვებიან შვილებს და შვილიშვილებს, მერე რა მამები და ბაბუები?! დევიდ ქირქი, ჯონ ქირვანი, შონ ფიცპატრიკი, ჯო სტენლი, ფრანიო ბოტიკა... ეს იმ მორაგბეთა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც 1986 წელს, მაშინ ჯერ კიდევ უსახელო მობურთალებმა, ისტორია შექმნეს. ამ ისტორიას BABY BLACKS თოთო შავები ჰქვია.

თუ დანარჩენი სარაგბო მსოფლიოსთვის BABY BLACKS ახალი ზელანდიის ახალგაზრდულ ნაკრებს ნიშნავს, „კივები“ ამ სახელით მხოლოდ იმ ნაკრებს მოიხსენიებენ, რომელიც ერთი საარაკო მატჩით დაიბადა 1986 წელს, ერთი წლის შემდეგ კი მსფოლიოს პირველი ჩემპიონი შეიქნა.

1986 წელს სამსოფლიოსთასოდ გამზადებული „ოლ ბლექსი“ ქვეყნის სარაგბო მამებს აუჯანყდა და თვითნებურად გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში კომერციულ ტურნეზე. ახალ ზელანდიის რაგბის კავშირმა ნაკრების ოცდაათივე საუკეთესო, მაგრამ ურჩ მორაგბეს დისკვლიფიკაცია გამოუწერა. „ოლ ბლექსის“ მწვრთნელ ბრაიან ლოჰორს სულ რაღაც სამიოდ დღეში უნდა შეეკრა ახალი ნაკრები, რომელიც იმ პერიოდისთვის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უძლიერეს გუნდს საფრანგეთს სატესტოდ დაუხვდებოდა.

ურჩი ვარსკვლავებისთვის ირონიით, სწორედ ეს ამბავი გახდა ლოჰორის და მისი BABY BLACKS-ის ტრიუმფის კატალიზატორი.

ლოჰორი იმ დროისთვის უკვე იყო ახალზელანდიური რაგბის ცოცხალი ლეგენდა. მაშინ რაგბი სამოყვარულო იყო და მორაგბეები თავ-თავიანთი პროფესიით მუშაობდნენ. ლოჰორსაც ჰქონდა „პროფესია“ — ის... მეცხვარე იყო, ცხვრის ფარის გადენა-გამოდენაში პროვინციიდან პროვინციაში დადიოდა და ესწრებოდა არაელიტარულ სარაგბო მატჩებს პატარა ქალაქებსა და დაბებში. შემდგომ ლოჰორი იტყვის, რომ სწორედ ეს ხეტიალი დაეხმარა მას ლეგენდარული ნაკრების შენებაში.

ფრანგებთან მატჩი 28 ივნისს, კრაისტჩერჩის „ლანკასტერ პარკზე“ იყო დანიშნული. ლოჰორმა ორიოდ დღეში პროვინციებიდან შემოიკრიბა ნაკლებად ცნობილი ჯეელები, მაგრამ მათი იმედი მის გარდა ალბათ არავის ჰქონდა. თავად განსაჯეთ: ოცდაორი კაციდან მხოლოდ დევიდ ქირქს (4 მატჩი) და ჯონ ქირვანს (7), რომლებმაც უარი თქვეს სამხრეთ აფრიკაში წასვლაზე, ბრაიან მაკგრატანს (4) და არტურ სთოუნს (4) ჰქონდათ მცირე სანაკრებო გამოცდილება. შერკინების ბურჯ კევინ ბოროევიჩს ევროპულ ტურნეზე ორად ორი მატჩი ჰქონდა ნათამაშები, ყველა დანარჩენი თავად ახალზელანდიელებისთვისაც უცნობები იყვნენ. ლოჰორი ყველაზე მეტად 29 წლის ვინმე ჯო სტენლის მიწვევისთვის გააკრიტიკეს. მართალია, თავის დროზე სტენლი ერთ-ერთი პროვინციის 16, 18 და 21-წამლელთა ნაკრებებს წევრი იყო, მაგრამ ეროვნული ნაკრების კანდიდატადაც არასდროს მოუნიშნავთ. მიუხედავად ამისა, ლოჰორმა იგი უყოყმანოდ შეიყვანა BABY BLACKS-ში. ამათ გარდა გუნდში იყვნენ დებიუტანტები: შონ ფიცპატრიკი, ტერი ვაითი, მაიკ ბრეევერი, ფრანიო ბოტიკა და გრეგ კუპერი, რომლებიც შემდეგ მსოფლიოს რაგბის უკაშკაშესი ვარსკვლავები გახდნენ.

ერთი სიტყვით, შეიკრიბა ახალი ზელანდიის ისტორიაში ყველაზე გამოუცდელი გუნდი. ფრანგთა ლეგენდას სერჟ ბლანკოს მარტოს მოეხვეჭა ორჯერ მეტი სანაკრებო კეპი, ვიდრე ზელანდიის ნაკრების ყველა წევრს ერთად. ბლანკოს გარდა იმ წელს ხუთი ერის დიდი სლემის მომგებ საფრანგეთის ნაკრებში ისეთი მონსტრები თამაშობდნენ, როგორებიც იყვნენ ფილიპ სელა, პატრის ლაჟისე, პიერ ბერბიზიე, ერიკ შამი, დომინიკ ერბანი, ფრანსის აჟე, ჟან პიერ განუ და დანიელ დუბროვკა.

ახალშობილ გუნდთან სატესტოდ „მამლებს“ ვერ გაჰყვა ტრავმირებული კაპიტანი ფილიპ დენტრანი, თუმც მან ზელანდიაში დეპეშა დაწია თავისიანებს — ფხიზლად იყავით, „ოლ ბლექსი“ ყოველთვის „ოლ ბლექსიაო“.

ის დეპეშა მერელა გაახსენდათ ფრანგებს, როცა კივები ზღაპრული გამარჯვებას ზეიმობდნენ. ბრეევრის ლელოს, ბოტიკას ორ არეკნს, კუპერის საჯარიმო-გარდასახვა-არეკნს ფრანგებმა ოდენ დემ კარბურას სამი არეკნით უპასუხეს — 18:9! ალბათ ბევრმა ზელანდიელმა ქომაგმა სიმწრით იკბინა თითზე, როცა შედეგი გაიგო. მათ ხომ სტადიონზე წასვლას შინ ჯდომა ამჯობინეს, თავისიანთა იმედი არ ჰქონდათ. სტადიონი მხოლოდ სანახევროდ შეივსო.



თორმეტი სრულიად უცნობი მოთამაშე უცბად აღმოჩნდა მსოფლიო რაგბის მოკაშკაშე თანავარსკვლავედში. ფიცპატრიკს, ვაითს, ბრეევრს, ბოტიკას და სტენლის წინ ზღაპრული კარიერა და მსოფლიოს ჩემპიონობა ელოდათ.

მეტადრე კი სტენლიმ გაიბრწყინა. მისი სანაკრებო დებიუტი მაშინ შედგა, როცა 29 წლის იყო და ამ ისტორიული მატჩის შემდეგ მიჯრით 27 ტესტი ითამაშა. ეს „აღმოჩენა“ შუამარბი განუმეორებელი დრიბლინგით და ხისტი ბოჭვით ბდღვირს ადენდა მეტოქეებს. მარტომ შანსი არ დაუტოვა ფრანგ შუამარბთა ზედუეტს — ფილიპ სელას და დენი შარვეს. აი, რას ამბობს 18 წლის შემდეგ სელა: „ის მატჩი არასდროს დამავიწყდება, ან როგორ უნდა დაგავიწყდეს ისტორია, რომელმაც შენს თვალწინ და შენი უშუალო მონაწილეობით დაიწერა. როდესაც ქირვანს ან ბოტიკას ვხვდებოდი, სულ ამ ზღაპრულ მატჩს ვიგონებდით და „ბორდოთი“ ვილოცებოდით. სტენლიმ კი დაგლიჯა, იგი პირველი და უკანასკნელია, ვინც თავბედი მაწყევლინა. ჯოსთან ერთად რამდენიმე წლის შემდეგ ფოტო გადავიღე და ჩემს ოთახში დავიდე. ის დიდებული იყო!“

ჯონ ქირვანი: „ეს უნდა გენახათ, ამის მოყოლა შეუძლებელია... დაუჯერებელია. დღემდე მგონია, რომ ის დღე სიზმარში ვნახე, რომ არა ლოჰორი მსოფლიო ვერასდროს გაიგებდა სტენლის, ფიცპატრიკს, ბოტიკას... კარგიო, ვერც ქირვანი გახდებოდა ვარსკვლავი.“

ამ ისტორიული, საარაკო მატჩიდან ერთი წლის თავზე ამ „ოლ ბლექსმა“ პირველად გამართული მსოფლიოს თასი მოიგო და პრაქტიკულად იქვე დაიშალა, სული გამოეცალა, რაკი გუნდს მისივე ნებით დაემშვიდობა 59 წლის მეცხვარე, „ოლ ბლექსის“ ლეგენდარული 8 ნომერი, ყოფილი კაპიტანი და მსოფლიოს ჩემპიონების დამზრდელი ბრაიან ლოჰორი.

ლოჰორმა მომავალ თაობას ეს ანდერძი დაუტოვა: „აიყვანეთ პროვინციის ნაკრების გამოცდილი მოთამაშე, სულ ერთია, რომელი, დაამალეთ მას შავი მაისურით თამაში და იგი იმედს არასდროს გაგიცრუებთ.“

სამწუხაროდ, ლოჰორის მემკვიდრეებმა ბრძენკაცს არ დაუჯერეს... 18 წელია მუდამ ფავორიტი ახალი ზელანდია ჩემპიონი აღარ გამხდარა და მინიმუმ კიდევ 3 წელს ვერ გახდება.

ბაჩო სვანიძე

1987 წლის შემდეგ „ოლ ბლექსი“ მუდამ მთავარი ფავორიტია, მაგრამ...

დევიდ ქირქი პირველი ეამბორა ვებ ელისის სახელობის თასს

გვიხარია, რომ გამოჩნდი

ირაკლი ლაბაძე ემოციებს მოერია და დიდებში გაერია

ირაკლი ლაბაძის ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ჩოგბურთის მოყვარულებიც გააკვირვა და თავად ჩოგბურთელიც. წლების განმავლობაში პერსპექტიულმა სპორტსმენმა კბილები ისეთ დროს გამოაჩინა, არავინ რომ არ ელოდა. ბოლო ორ თვეში კარლოს მოიას, ჰიშამ არაზის, ჯეიმს ბლეიკისა და მაქს მირნის დამმარცხებელმა ქართველმა წლიური გეგმა გაზაფხულზევე შეასრულა, მსოფლიო კლასიფიკაციის ორმოცდაათეულში შევიდა და ახალ სამიზნედ ოცდაათეული მოინიშნა.

ტრავმის გამო ირაკლიმ ბოლო, ბარსელონის ტურნირი გამოტოვა და ეს პერიოდი თბილისში მკურნალობას მოახმარა, დღეს კი ისევ ევროპისკენ აიღო გეზი, გამოჯანმრთელებუმა წინსვლა რომ განაგრძოს. ჩვენი ინტერვიუ გუშინ, რედაქციაში შედგა



ბურთს დოლბაობილს ფოტო

— თბილისში ერთი კვირით ჩამოვედი და მთელი ეს დრო ექიმებთან სირბილში გავატარე. ერთხელაც არ მივარჯიშია. მგონი უკვე მოვირჩინე წელი, კოჭი კი ოდნავ მაინც მაწუხებს.

— წესით ეს ერთი კვირა ბარსელონის ტურნირზე არ უნდა გაგეტარებინა?

— ბარსელონაში რომ მეთამაშა, ეგებ ტრავმა ისე გამემიზეზებინა, როლან გაროსზე ველარ წავსულიყავი. უახლოესი ტურნირი ორშაბათს რომში იწყება. მანამდე კიდევ დავაკვირდები ჩემს თავს და თუ საჭიროდ ჩავთვლი, კორტზეც გავალ. რომის შემდეგ ჰამბურგის ტურნირი იქნება და იქ აუცილებლად ვითამაშებ.

— ჩოგბურთის ქართველი მოყვარული შენს ბოლოდროინდელ წარმატებას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ელოდა. რა გიშლიდა ხელს?

— აღმასვლა მართლაც ისეთ დროს დავიწყე, არავინ რომ არ ელოდა. ტრავმიანი პერიოდის შემდეგ ასეთი წარმატება ჩემთვისაც წარმოუდგენელი იყო. ვერ ვიტყვი, რომ მანამდე კომპლექსი მჭირდა და ახლა მომეხსნა. თავადაც არ ვიცი. რაღაც თავისუფლება ვიგრძენი. ერთი თამაშის მოგების შემდეგ თავდაჯერებულობა მომემატა. მეორე მეტოქე კარლოს მოია მყავდა და ერთადერთი, რასაც მასთან შეხვედრამდე ვფიქრობდი, ის იყო, რომ ბოლომდე დავხარჯულიყავი და ყველა ბურთისთვის მებრძოლა. მოიას ძლევის შემდეგ საკუთარი თავის რწმენაც გამიორმაგდა.

— ორმაგდებოდა ფინანსური შემოსავალიც...

— თანხაზე და ქულებზე ფიქრი რომ დამეწყო, ყველაფერი წყალში ჩამეყრებოდა. მოიას შემდეგ არაზის შევხვდი და ვთვლი, რომ ჩემი საუკეთესო თამაში სწორედ მასთან ვაჩვენე, კალერთან კი შედარებით გამიჭირდა. პირველი სეტი ადვილადაც მომიგო. ერთადერთი გამოსავალი ტაქტიკის შეცვლა იყო. გადავწყვიტე, ბურთის გადაგდებაზე მეთამაშა. ცოტა მეტი სირბილი კი მიწევდა, მაგრამ ჩანაფიქრმა გაამართლა. კალერი უკვე მიჩვეული იყო, რომ ერთ გათამაშებაზე სამზე მეტჯერ ვერ ვუბრუნებდი ბურთს. შემდეგ შეცდომები შევამცირე, ექვსი-შვიდი ბურთი გადავუგდე და რომ დაინახა ეს უპირატესობა გამომეცალაო, თვითონ დაიწყო გაფუჭება, ანერვიულდა და სადავეც გაექცა.

— კალერის შემდეგ მეტოქეზე ჯეიმს ბლეიკზე აღარაფერს გკითხავ. მგონი შენი კომპლექსიც კი შეეყარა.

— პრესკონფერენციაზე მკითხეს, ასე ხშირად რატომ უგებო. იმიტომ, რომ ამერკელია-მეთქი. იქვე დავაყოლე, ვხუმრობმეთქი, მაგრამ ამერიკელებს ეწყინათ. ყველაზე დიდხანს მაკინროის ძმას ჩარჩა გულში. ჰენმანთან თამაშს იგი კომენტატორობდა და მაინცდამაინც ტკბილად არ მახსენებდა. აქაოდა, ამ ბიჭს გრძელი ენა აქვს და ბლეიკის მოგებაც ისე გაუხარდა, თითქოს უიმბლდონის ჩემპიონი გამხდარიყოსო. ცხადია, არც მე დავტოვე უკომენტაროდ და ერთ-ერთ იტნერვიუში ვთქვი, რომ ის მოგება ჩემთვის უიმბლდონის ჩემპიონობასაც ნიშნავდა და მეტსაც. გამარჯვებით ჩემი მეგობრები და მთელი ჩემი ქვეყანა გავახარე. ესაა ჩემთვის მთავარი, მაგრამ, აბა, თქვენ ეს გრძნობა რა იცით, ამერიკელები ხართ-მეთქი. აი, ამას ვგულისხმობდი.

— ბარემ ინდიან უელსის ბოლო თამაშზეც ვთქვათ...

— ამ ტურნირზე ყველაზე მეტად მოწოდების შემდეგ ბურთის მიღება მიჭირდა. ჰენმანმა ეს შენიშნა და გამოიყენა კიდეც. ბურთს კარგად ვერ ვგრძნობდი. თან ჰენმანს მართლაც გამორჩეული სტილი აქვს. ამოუცნობი ჩოგბურთელია და ჩემს ერთ-ერთ არასასურველ მეტოქედაც ვთვლი. თანაც მისთვის ინდიან უელსის ნახევარფინალი დაახლოებით ისეთი მიღწევაა, ვთქვათ, მე რომ აგასის ერთი გეიმი ავუღო.

— ინდიან უელსის შემდეგ მაიამის ტურნირზე პირველივე წრეში წააგე მალისთან. მიზეზი გადაღლა იყო?

— ცხადია, დაღლილიც ვიყავი, მაგრამ მთავარი პრობლემა წელის ტკივილი იყო. სწორედ მაშინ დამეწყო და თითქმის უბრძოლველად დავთმე თამაში. სხვა შემთხვევაში 2:6, 0:6-ს მასთან ძალიან რომ მომენდომებინა, მაინც ვერ წავაგებდი.

— ბოლოს იყო ეშტროლის ტურნირი, რომელიც საფინთან ნათამაშები ხუთი გეიმით დაასრულე...

— ტრავმის გამო საფინთან სათამაშოდ გასვლას საერთოდ არ ვაპირებდი. ტკივილი იმდენად აუტანელი იყო, მთელი ღამე არ მეძინა. ექიმებსაც ვუთხარი, შეჯიბრიდან თავი უნდა მოვიხსნა-მეთქი და მათაც იგივე მირჩიეს, მაგრამ ტურნირის დირექტორის თხოვნას გავუწიე ანგარიში. ნახევარფინალია და კორტზე რომ არ გახვიდე, ხალხი სტვენით აგვიკლებს, სამიოდე გეიმი გაუძელი და შემდეგ თქვი უარიო. ხუთი გავუძელი, მეტი ვეღარ. სხვათა შორის, ტკივილების გამო თავის მოხსნას წინა წრეში, ესპანელ რაფაელ ნადალთანაც ვაპირებდი, მაგრამ რომ მივედი, თვითონ დამხვდა მოხსნილი. მასაც ტრავმა ჰქონია და „დამასწრო". იმ წუთში თბილისში გადმოვრეკე, საქმე რომელმა ჩააწყვეთ-მეთქი.

— საფინთან თამაში 3:2-ზე შეწყვიტე. რუსის ანერვიულება მაინც მოასწარი?

— 3:1 რომ დავწინაურდი, ფერი ეცვალა. ნუ გეშინია, მაინც ვწყვეტ თამაშს-მეთქი, დავუძახე.

— როგორც ვიცი, საფინთან მეგობრობ. სხვებთან რა ურთიერთობა გაქვს?

— საფინს 9 წლიდან ვიცნობ და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. საერთოდ, რუსებიდან თითქმის ყველასთან ვმეგობრობ მირნის გარდა. მას ვერ გავუგე, ან ძალიან ამერიკული უჭირავს ან ზედმეტად მორიდებულია. უცხოელებთანაც ნორმალურად ვარ. ძველი თაობიდან კი განსაკუთრებული ურთიერთობა ივანიშევიჩთან მაქვს. მართლაც გამორჩეული პიროვნებაა. მშვენიერი ბიჭია როჯერ ფედერერი. ინდიან უელსის ნახევარფინალში რომ გავედი, კულისებში მომიახლოვდა და მხარზე ხელი დამკრა, ჰა, როგორც იქნა, გამოჩნდიო. კაცს გესიამოვნება ყურადღება. ჩვენ ტოლები ვართ, 1999 წელს ახალგაზრდული უიმბლდონის ფინალში ვითამაშეთ. მას მერე არა „ვჩანდი" და ფედერერს ჩემი წარმატება ესიამოვნა.

— ქალ ჩოგბურთელებთან როგორ ხარ?

— ყველასთან კარგად ვარ, განსაკუთრებით კი კაპრიატისთან. მამამისსაც კარგად ვიცნობ და ხშირად გვისაუბრია.

— უილიამსებზე რაღას იტყვი?

— ეგენი აბსოლუტურად ჩაკეტილები არიან, ურთიერთობა შეუძლებელია. ძნელი საურთიერთოა ჰიუიტიც. შეიძლება ამას ჩოგბურთის გულისთვის აკეთებენ, მიიჩნევენ, რომ ეს მათი სამსახურია. ოღონდ ბევრი ფული იშოვონ, ურთიერთობებს არაფრად აგდებენ. გაღიმებასაც კი წინასწარ გეგმავენ. ჩემთვის ასეთი შეხედულება აბსოლუტურად მიუღებელია. მირჩევნია ყველასთან კარგად ვიყო და ზურგსუკან არავინ მაგინოს.

— თიხნარს ალღო კარგად აუღე. ბალახზე ხომ არ გაგიჭირდება?

— ჩემთვის აბსოლუტურად ერთია, თიხნარზე ვითამაშებ თუ ბალახზე. გაცილებით მეტად ყურადღებამისაქცევი განწყობაა. ხასიათის მოთამაშე ვარ და გაჩნია, როგორ ფეხზე ავდგები თამაშის დღეს. ჩოგბურთი ისეთი თამაშია, ემოციების დამალვა შეუძლებელია. თუმცა შარშანდელთან შედარებით ძალიან მშვიდი გავხდი. თუ მაშინ მსაჯს თამაშის განმავლობაში მინიმუმ ათჯერ ვევაჭრებოდი, ახლა მაქსიმუმი სამია. თუ კარგი მსაჯია, ერთს არ ვაჭარბებ. მთლიანად გადაჩვევა მაინც ძნელია.

— როგორც ვიცი უმწვრთნელოდ ხარ. არ აპირებ მასწავლებლის აყვანას?

— რომში უკვე ახალ მწვრთნელთან, გერმანელ ვერნა კალაინცთან ერთად ჩავალ. ჩემს გარდა ავსტრიელ იურგენ მელცერსაც ავარჯიშებს. მეც ავსტრიაში ვარ, იქ. კი უკეთესი მწვრთნელი არ იყო. სხვაგან რომ წავსულიყავი, გაცილებით ძვირი დამიჯდებოდა. არიან სპეციალისტები, აყვანის შემთხვევაში ოცეულში მოხვედრა თითქმის გარანტირებული რომ მექნება. შეიძლება ათეულშიც, მაგრამ თვეში დაახლოებით 20 ათასი ევრო სჭირდებათ. ძალიან ძვირი ფუფუნებაა.

— ახლა რამდენი დაგეხარჯება?

— წელიწადში 70-80 ათასი.

— ბოლოდროინდელი წარმატებების შემდეგ სპონსორები არ გამოჩნდნენ?

— ჯერ არ ვიცი. ძალიან სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი და შემდეგ თბილისში წამოვედი. თუ ვინმე გამოჩნდა, ჩემს მენეჯერს შეეხმიანებიან. მირჩევნია დაველოდო, წლის ბოლომდე ოცდაათეულში შევიდე და გაცილებით ხელსაყრელი წინადადებები მივიღო. ალბათ, უიმბლდონის შემდეგ გაირკვევა სპონსორის საკითხი.

— ესე იგი წლის ბოლოსთვის ოცდაათეულს გვპირდები?

— წინასწარ არ ვიტყვი, აუცილებლად შევალ-მეთქი. წინასწარ რაც ვთქვი, ვერაფერი ავასრულე. ისე კი დარწმუნებული ვარ, წინსვლა კიდევ შემიძლია. წლის დასაწყისში ჩემი სურვილი ორმოცდაათში შესვლა იყო და რახან ავისრულე, ახლა ახალი მიზანი დავისახე. კლასიფიკაცია აუცილებლად უნდა გავიუმჯობესო. ოქტომბრამდე ორმოცდამეთორმეტე ადგილს დაბლა მაინც ვერ ჩამოვალ, სულაც, ყველა თამაში რომ წავაგო. ამიტომ, ეს დრო მაქსიმალურად, რაც შეიძლება მეტი ქულების დასაგროვებლად უნდა გამოვიყენო.

— თბილისში კიდევ როდის ჩამოხვალ?

— ივნისში დევისის თასზე საქართველოს ნაკრები ეგვიპტეს ეთამაშება. აუცილებლად ჩამოვალ. ასეთი დონის გუნდებს ყოველ მიზეზ გარეშე უნდა ვაჯობოთ.

ოთარ გაღლაკელიძე

პარადორნმა მიწა ვერ შეიყვარა

OPEN SEAT GODO
ბარსელონა. თიხნარი
საპრიზო 990 ათასი ევრო

მეორე წრე

გუსტავო კუერტენი (6, ბრაზილია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7:5), 4:6, 7:6 (7:5); აგუსტინ კალიერი (7, არგენტინა) — ტომას ბერდიხი (ჩეხეთი) 6:1, 7:6 (9:7)

ამქრის ოდინდელმა პირველოსანმა გუსტავო კუერტენმა მესამე წრეში გასასვლელად იმ დღეს 152-წუთიანი ომი გადაიხადა შვედ ტომას იოჰანსონთან. ამ მოგების შემდეგ როლან გაროსის სამგზის მომგებ ბრაზილიელს წლეულს სამი სათიხნარო მარცხის წილ უკვე ათი სათიხნაროვე გამარჯვება დაუგროვდა. შეგახსენებთ, რომ მან კოსტა დუ საუიპეში იმარჯვა, ხოლო ვინა დელ მარში ფინალში დამარცხდა.

გუსტავო კუერტენი

BMW OPEN BY CREDIT SUISSE
მიუნხენი. თიხნარი
საპრიზო 375 ათასი ევრო

პირველი წრე

რაინერ შუტლერი (1, გერმანია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:4, 7:6 (7:5); ოლივიე როხუსი (ბელგია) — პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) 6:3, 6:2; ირჟი ნოვაკი (3, ჩეხეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:4, 6:2; ვინს სპიდია (5, აშშ) — დიტერ კინდლმანი (გერმანია) 6:4, 6:2; ტომი ჰაასი (გერმანია) — ბოგდან ულიერახი (ჩეხეთი) 6:3, 6:2; ალექსანდრ ვასკე (გერმანია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 7:6 (7:0)

წინა კვირას მონტეკარლოურ ფინალში გილერმო კორიასგან ძლეულმა რაინერ შუტლერმა მშობლიურ თიხნარზე გადაინაცვლა და პირველ წრეში ჭაბუკ შვედ რობინ სოდერლინგს სძლია. მეორე წრეში ის თვისტომ ტომი ჰაასს შეხვდება, ვინაც ერთწლიანი ტრავმიანობის შემდეგ დიდ კორტს ესესაა მოუბრუნდა და ორი კვირის წინ ჰიუსტონურ ფინალში ენდი როდიკსაც კი აჯობა.

ტურნირიდან გავარდა მეორე ნომრად განთესილი პარადორნ შრიჩაფანი. პიტალო ტაილანდელი მონტეკარლობიდანაც პირველსავე წრეში აოტეს და თიხნარის დამუდამება ვერც ამ ჯერზე მოახერხა.

ვის უნდა 1 000 000?

უიმბლდონზე მაზანდა გაიზარდა

ამ ზაფხულიდან უიმბლდონის მომგები მეჩოგნეები ავტომატურად მილიონერები გახდებიან. როგორც ტურნირის ორგანიზატორები ამბობენ, კაცთა შორის გამარჯვებული 1 077 270 დოლარს მიიღებს, ქალთაგან გამორჩეულს კი 1 002 174 დოლარი ერგება. შედარებისთვის: შარშანდელ ჩემპიონებს როჯერ ფედერერსა და სერენა უილიამსს, შესაბამისად, 914 250 და 850 650-დოლარიანი ჩეკები ხვდათ წილად.

„ოლ ინგლანდ კლაბის“ თავმჯდომარე ტიმ ფილიპსი განმარტავს, რომ ასე ზორბად მეჩოგნეები გირვანქა სტერლინგის დოლართან მიმართებაში გაზრდილი კურსით იხერებენ. სულ კი წლევანდელი საპრიზო ფონდი 17 356 616 დოლარს შეადგენს, რაც 16,4 პროცენტით მეტი იქნება შარშანდელისაზე. ტურნირი 21 ივნისს დაიწყება და 4 ივლისამდე გასტანს.

2004 NBA Playoffs

27 აპრილი

აღმოსავლეთი

მაიამი 2:2 ნიუ ორლეანი

ნიუ ორლეანი 96:85 მაიამი

ნიუ ორლეანი: დევისი (23 ქულა, 10 პასი), ვესლი (12), ლინჩი (11), ბრაუნი (4), მალუა (12); ოგმონი (17), ვესტი (10), არმსტრონგი (7)

მაიამი: ვეიდი (11 ქულა, 10 პასი), ჯონსი (16), კ. ბატლერი (7), ოდომი (25), გრანტი (6); ალსტონი (9), ჰეისლიმი (8), რ. ბატლერი (3), ჟიჟი, უოლკერი

დასავლეთი

მინესოტა 3:1 დენვერი

დენვერი 82:84 მინესოტა

დენვერი: მილერი (13), ლენარდი (28), ენტონი (2), ნენე (11), კემბი (9 ქულა, 11 მოხსნა); ბოიკინსი (10), ანდერსონი (4), ბერი (3), დოლიკი (2), ელსონი

მინესოტა: კასელი (15), ჰასელი (14), სპრიუელი (13), გარნეტი (27), ჯონსონი (4); ჰოიბერგი (9), მარტინი (2), ოლოვოკანდი, მადსენი, ტრენტი

გუშინ ნბა-მ ახალბედების ორი სიმბოლური ხუთეული დაასახელა

პირველი ხუთეული

დუეინ ვეიდი (მაიამი)
კირკ ჰაინრიხი (ჩიკაგო)
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)
კარლოს ენტონი (დენვერი)
[illegible]ს ბოში (ტორონტო)

მეორე ხუთეული

ტიჯეი ფორდი (მილუოკი)
მარკუს დანიელსი (დალასი)
ჯოშ ჰოვარდი (დალასი)
ჯერუის ჰეიესი (ვაშინგტონი)
ადონის ჰეისლიმი (მაიამი)

მსოფლიოს ჩემპიონატი

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

იაპონელ სამურაის უნიჩი ტაკაჰაშის დანიელი იენს ნილსენი შემოელახა

ხუთში ერთი ზედმეტია

27 აპრილი

A ჯგუფი

ყაზახეთი 1:3 ლატვია
0:0 1:0 0:3

B ჯგუფი

შვედეთი 3:2 რუსეთი
1:0 0:2 2:0

დანია 4:3 იაპონია
2:2 1:1 1:0

D ჯგუფი

შვეიცარია 4:4 ავსტრია
0:0 1:4 3:0

კანადა 3:0 საფრანგეთი
2:0 1:0 0:0

მსოფლიოს ჩემპიონატის ფორმატი ერთი შეხედვით თითქოს ძალიან ლმობიერია. წესით, თუ ოდნავ მაინც რაღაცას წარმოადგენ, მეოთხედფინალში გასვლა არ უნდა გაგიჭირდეს. წინასწარ ეტაპზე ოთხგუნდიან ჯგუფში ბოლო ადგილი არ უნდა დაიკავო, ხოლო საკვალიფიკაციოზე — ექვსგუნდიანში ბოლო ორი. თუმც ერთი რამ არის გასათვალისწინებელი, წლეულს ნაკრებები ისეა განაწილებული, რომ B და C ჯგუფის მონაწილეებს ყველა მატჩში მაქსიმალური ძალისხმევა მართებთ.

ამ ორი ჯგუფის სამ-სამი საუკეთესო გუნდი მეორე ეტაპზე შეერთდება და 5 ძლიერ ნაკრებს (შვედეთი, რუსეთი, ფინეთი, აშშ და სლოვაკეთი) 4 საპლეიოფო საგზურის გათამაშება მოუწევს. ასე რომ, ერთი მათგანი ზედმეტია. და რაკი პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები საკვალიფიკაციოშიც ჩაითვლება, ნაადრევადვე ჯობს თავის დაზღვევა. აქედან გამომდინარე, მიხვდებოდით რამდენად მნიშვნელოვანი იყო რუსეთისა და შვედეთის თამაში. ამიტომაც ამ მატჩს დაძაბულობა ბოლო წუთებზე არ მოჰკლებია და ძალიან შინაარსიანიც გამოდგა.

რუსეთი ლომივით ბღღვინავდა, სკანდინავიელებმა ხომ მთლად გაგვაოცეს თავიანთი ჟინით და აგრესიულობით. უნდა გენახათ, რა გააფთრებით იბრძოდნენ შვედები. თავიდან დაწინაურდნენ კიდეც. მერე რუსების ლიდერმა ილია კოვალჩუკმა ორი ლამაზი გოლი გაიტანა, მაგრამ ბოლო პერიოდში შვედებმა პრესინგს მიმართეს და ტემპსაც უმატეს. ამან რუსები დაღალა და დანიელ ალფრედსონის ჩინებული პასის შემდეგ მიქაელ ნიულანდერმა (იგი წინა დღით შეემატა ნაკრებს) გაათანაბრა. ბოლოსწინა წუთზე კი ჩინებული კომბინაცია „ტრე კრუნურის“ კაპიტანმა იორგენ იუნსონმა დააგვირგვინა.

ისევ გაგვაოცეს კანადელებმა, ოღონდ ამჯერად არადამაჯერებელი თამაში არაფერ შუაშია, მატჩისშემდგომ კომენტარებზე მოგახსენებთ: კანადა—საფრანგეთის თამაშზე მისული თითქმის 7000 მაყურებელი 60 წუთის განმავლობაში უყურებდა, როგორ ელოლიავებოდნენ ფავორიტები სუსტ მეტოქეს და ძლივს, ვაი-ვაგლახით გაუტანეს სამი გოლი. დამთავრდა მატჩი და თავიანთი უსუსურობა ერთხმად ყინულს დააბრალეს. ბოსტონელმა გლენ მიურემ ხომ მთლად „გაიკავა“, თქვა, აქ ყინული იმაზე უარესია, ვიდრე ბოსტონში და ეს რომ მცოდნოდა, რა ჩამომიყვანდაო.

ერთობ თვალსასაჩინო გამოდგა იაპონია—დანიის მატჩი. აზიელებს წლეულს უპირატესობა აღარ აქვთ (ადრე ადგილს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც ტოვებდნენ უმაღლეს დივიზიონში, როგორც აზიის წარმომადგენელს). ახლა მათ მინიმუმ მე-14 ადგილი უნდა დაიკავონ, უმაღლეს დივიზიონში რომ დარჩნენ. ამიტომაც სამშაბათს ძალ-ღონეს არ იშურებდნენ „სამურაები“, მაგრამ მათი მცდელობა „მოღალატე“ მცველმა სუგავამ ქარს გაატანა — უძლიერესი დარტყმით საკუთარი კარი დალაშქრა და ამ შაიბამ ყველფერი გადაწყვიტა...

მატჩის შემდეგ დანიის ჰიმნი აჟღერდა, ოღონდ რატომღაც ნაციონალური კი არა, სამეფო. ჰოკეისტებმა მაინც ნაციონალური იმღერეს. საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა პირებმა კი გუნდს ბოდიში მოუხადეს.

ამასობაში დანიელი და სკანდინავიელი ქომაგების განსაკუთრებული ხმაურის მიზეზიც გაირკვა. თურმე მათ ქვეყნებში ლუდი ლამის 5-ჯერ ძვირი ღირს. ასე რომ, პრაღასა და ოსტრავაში ყელს არ აშრობენ. თან რა ლუდს სვამენ, მსოფლიოში საუკეთესოს!

სან ხოსე მეტოქეებს უფსკრულისკენ მიერეკება

ალებისგან ყინულზე ალი ავარდა

27 აპრილი

აღმოსავლეთი

მონრეალი 0:3 ტამპა

მონრეალი 3:4 ტამპა
0:0 1:2 2:1 0:1

0:1 სტილმანი (29), 1:1 კოვალიოვი (30), 1:2 რიჩარდსი (33), 2:2 რაიდერი (51), 3:2 ბრისბუა (57), 3:3 ლეკავალიე (60), 3:4 რიჩარდსი (62)

ხუთი-ექვსი წლის წინათ ვინ წარმოიდგენდა, რომ „ტამპა“ და „სან ხოსე“ ასეთ სასწაულებს ჩაიდენდნენ პლეი ოფში. ისინი ლიგას 90-იან წლებში შეუერთდნენ და საკმაოდ საცოდავად გამოიყურებოდნენ. აი, რას ნიშნავს ხანგრძლივი, მძიმე შრომა და მოთმინება... ახლა ისინი განთქმულ, ბობოლა გუნდებს ამარცხებენ.

„სან ხოსემ“ წინა დღეს მრისხანე „კოლორადო“ მიაყენა უფსკრულის პირას და ახლა „ელვებმა“ იგივე დამართეს „მონრეალს“. სამშაბათს მეხი ძირითადი დროის ბოლო წამებზე გავარდა და (ისინი ამ მომენტისთვის 3:2 იგებდნენ) კვლავ ვენსან ლეკავალიე გახლდათ მათი დამმწუხრებელი. „ტამპას“ მეოთხე ნომერი აქამდე თუ მეტოქეს აწიოკებდა, ახლა თავისი გუნდი იხსნა აშკარა მარცხისგან. თან გოლი კი არა, შედეური გამოდგა. შორეული დარტყმის შემდეგ ვენსანმა შაიბა ფეხებს შუა გაიტარა და შემდეგ ყვანჯით ოსტატურად შეუცვალა მიმართულება, რაც დაახლოებით ფეხბურთში ქუსლით გატანას ჰგავს. ამ გოლმა ისე გააოგნა მონრეალელები, რომ ოვერტაიმის დაწყებისთანავე კიდევ ერთი გოლი გაუშვეს. მაიკ კომისარეკის შეცდომის შემდეგ შაიბა ბრედ რიჩარდს მიუვიდა, რომელმაც დარტყმაც მოახერხა და დამატებაც. ასე გამოსტაცა „ტამპამ“ გამარჯვება მეტოქეს და ახლა „მონრეალს“ სასწაული თუ იხსნის.

დასავლეთი

კალგარი 2:1 დეტროიტი

კალგარი 3:2 დეტროიტი
0:0 3:2 0:0

0:1 ლანგი (22), 1:1 იელი (24), 2:1 იგინლა (26), 2:2 ფიშერი (32), 3:2 დონოვანი (33)

პირველი რაუნდის შემდეგ ყველა „დეტროიტი“ — „კოლორადოს“ დუელს ელოდა, მაგრამ... საქმეს ისეთი პირი უჩანს, „კალგარისა“ და „სან ხოსეს“ შეხვედრას ვიხილავთ. სამშაბათს „ალები“ კვლავ დაწინაურდნენ ბობოლა „დეტროიტთან“ ჭიდილში, რადგან მისმა უკლებლივ ყველა მოთამაშემ სული და გული დადო ყინულზე. საოცარი თავგამოდების მაგალითი პარტნიორებს ჯერომ იგინლამ აჩვენა. წინა მატჩში „დეტროიტმა“ კალგარელ მულატ მეგოლეს ერთხელაც არ დაარტყმევინა, მაგრამ ამჯერად მისმა ჟინმა ყველას დააყრევინა ფარ-ხმალი. მისი გოლის წყალობით დაწინაურდნენ კალგარელები, ხოლო გადამწყვეტი შაიბა მესამე სამეულის წევრმა შონ დონოვანმა შეაგდო. მასპინძელა ფორვარდი გონივრულად მოერიდა მცველის ძალისმიერ ილეთს და მეკარე კერტის ჯოზეფსაც მოერია.

REUTERS ჰავანიდან

ძველ ჰავანაში

ძველი ჰავანა ძალიან ჰგავს ძველ თბილისს და ისევე ინგრევა, რასაც ძველ თბილისი. ოღონდაც, ჰავანის ეზოების საყვარელი თამაში ბეისბოლია და არა ფეხბურთი. ბეისბოლი კუბელთა საყვარელი თამაშია, რომელიც ერთ დროს ამერიკიდან შეკიდა კუნძულზე და მალევე დაიპყრო ადამიანთა გულები. ღარიბ ქვეყანაში ბეისბოლის კეტი და ბურთი ფუფუნებაა, თუმცა ბიჭები უბრალო ფიცრებითაც იოლას გადი. ნ.

REUTERS ათენიდან

ათენის დაცვა

ათენის ოლიმპიადაზე განხორციელდება ოლიმპიადების ისტორიაში უმაგალითო უსაფრთხოების გეგმა. ის, რომ ტერორისტებს არ ძინავთ, ნიშნავს, რომ საერთოდ არ დაიძინებენ პოლიციის და ჯარის სავანგებო ძალები. ოლიმპიადის დაცვა 650 მილიონ ევროზე მეტი ჯდება, ვარჯიშის სურათები კი შთამბეჭდავია.

REUTERS ათენიდან

არმსტრონგი იგვეს

ჯორჯიის ტურში ჩაბმული „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის მომგები ველოვარსკვლავი ლენს არმსტრონგი ამ ექვსდღიან შეჯიბრს იგებს. ჯორჯიის ტური დიდად ეხმარება ჯორჯიისაკენ კიბოსთან მებრძოლ ასოციაციას, ხოლო არმსტრონგი კიბოს მჯობნი კაცია და ამ შეჯიბრშიაც მუდამით ჩაერთო. თუმცა, როგორც ყოველთვის, მისი მიზანი „ტურ დე ფრანსის“ მოგებაა. ლენსს თან ახლავს გელფრენდი, მომღერალი შერილ ქროუ.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრ ყაზბეგის გამზირი 42, კორპუსი, IV სართულ საფოსტო მისამართ თბილისი — 79, საფოს ყუთი 208. ტელეფონი: 3 ელექტრონული ფოს sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერ http://www.sarbieli.com